

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი



ნანა მაჭარაშვილი

სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა

სამართალმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლევან დუნდუა

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

თბილისი

2020წელი

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება სამემკვიდრო სამართალში არსებულ, სამკვიდრო ქონების მიღებასთან დაკავშირებულ იმ აქტუალურ საკითხს, რომელსაც წარმოადგენს სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა. ნაშრომში ნათლადაა განხილული ყველა ის სირთულე და პრობლემა, რომლის წინაშეც აღმოჩნდება მამკვიდრებელი იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს გახსნიდან კანონმდებლობით დადგენილ ექვსი თვის ვადაში სანოტარო ორგანოში არ წარადგენს განცხადებას სამკვიდროს მიღების თაობაზე და შეუდგება სამკვიდრო ქონების ფლობას. ნაშრომში წარმოჩენილია პრობლემის მოგვარების გზები, რომლებიც მემკვიდრეებს დაეხმარებათ გვერდი აუარონ არასასურველ შედეგებს. ამასთან, განხილულია სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები, მეცნიერ-იურისტების ხედვები და მოსაზრებები, პრაქტიკული მაგალითები, რაც შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ გავანალიზოთ პრობლემის აქტუალურობა და ის სადაო, საკითხები რომლებიც თან ახლავს სამკვიდროს ფაქტობრივ მფლობელობას.

Abstract

Master's thesis deals with law of succession in the receiving of inheritance with actual issue, which is the factual acquiring of inheritance. The work clearly discusses all the difficulties and problems faced by the heir, in case six month notary bureau established by the legislation from the opening of the state is declared as declaration on receipt of inheritance. The work presents ways to solve the problems that will help heirs avoid side effects. In addition the legal norms related to the factual acquiring of inheritance, the visions and opinions of the scientist-lawyers are discussed, as well as practical examples will allow us to better analyze the urgency of the problem and that accompany the factual acquiring of inheritance.

Contents

1. შესავალი	5
2.მემკვიდრეობა და მისი ადგილი სამართლის სისტემაში	8
2.1. მემკვიდრეობის სამართლის განვითარების მიმოხილვა	9
2.2 მემკვიდრეობა- კონსტიტუციური უფლება.....	11
2.3 ქონება როგორც მემკვიდრეობის ობიექტი, სამემკვიდრეო ურთიერთობის ინტერესის საგანი	13
2.4 საკუთრების უფლებისა და მემკვიდრეობის ურთიერთკავშირი.....	16
2.5 მამკვიდრებელი - მემკვიდრეობითი სამართლის მთავარი ფიგურა	17
2.6 მამკვიდრებლის უფლებამონაცვლე-მემკვიდრე.....	18
3.მემკვიდრეობის საფუძვლები	21
3.1 მემკვიდრეობა კანონით	23
3.2 მემკვიდრეობა ანდერძით	29
4. სამკვიდროს მიღების საშუალებანი	36
4.1 სანოტარო ორგანოში განცხადების წარდგენა	37
4.2 სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა	39
5. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დადგენით წარმოშობილი პრობლემანი	42
5.1 სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დადგენა ნოტარიუსის მიერ	42
5.2 ფაქტობრივი ფლობის დადგენა სასამართლოს გზით, სასამართლო პრაქტიკა	50
დასკვნა	58

1. შესავალი

სამოქალაქო სამართლის განვითარების ყველა დროიდან მემკვიდრეობით სამართალს ერთ-ერთ ძირეული ადგილი ეკავა სამართლის სისტემაში, მემკვიდრეობით-სამართლებრივი ნორმები არეგულირებენ გარდაცვლილი პირის ქონების მემკვიდრეებზე გადასვლის წესს და ფარგლებს. მემკვიდრეობითი ურთიერთობების წარმოშობას სწორედ ადამიანის სიკვდილი იწვევს. მემკვიდრეობის სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს კი წარმოადგენს სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა, რომელიც აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის მთავარი თემაა.

ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს სამკვიდრო ქონების მიღება ფაქტობრივი ფლობის გზით, რომელშიდაც განხილულია სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები, მეცნიერ-იურისტების მოსაზრებები, ამასთან პრაქტიკული მაგალითების ფონზე შესაძლებელია იმ შედეგების წარმოჩენა, რაც სამემკვიდრო საქმისწარმოების დროს დგება, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დაუდგენლობის შემთხვევაში.

ქართული სამოქალაქო კანონმდებლობისთვის სიახლეს არ წარმოადგენს ფაქტობრივი მფლობელობა თუმცა, აღნიშნული სათანადოდ შესწავლილი არ არის იურიდიულ ლიტერატურაში და შეიცავს ბევრ მნიშვნელოვან, საყურადღებო დეტალს, რომელიც მოითხოვენ სიღრმისეულ ანალიზს. ვფიქრობ, არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებიც საჭიროებენ ნორმის სახით ჩამოყალიბებას, რადგან სამემკვიდრო სამართალთან დაკავშირებით საკანონმდებლო რეგულაციები არასრულყოფილია. საზოგადოების დიდმა ნაწილმა არც კი იცის თუ რას ნიშნავს ფაქტობრივი მფლობელობა, მაშინ როდესაც მემკვიდრეები მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ იწყებენ სამკვიდრო ქონებით სარგებლობას, ფლობენ და მართავენ მას, რეალურად არაინფორმირებულობის გამო არ იციან თუ რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება მათ ქმედებას, რა პრობლემებსა და

სირთულეების წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ. უნდა ითქვას, რომ მემკვიდრეობასთან ნებისმიერ მოქალაქეს აქვს ან მომავალში აუცილებლად ექნება კავშირი. ამდენად, თავისუფლად შეიძლება ითქვას რომ საკითხი აქტუალურია რასაც ასევე ადასტურებს შემდეგი ფაქტი რომ „ 2018 წლის განმავლობაში საერთო სასამართლოებში განსახილველი იყოს 918 სამემკვიდრეო დავა, 2017 წელს 968, ხოლო 2016 წელს კი 910 სამემკვიდრეო დავა“¹ აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები კიდევ ერთხელ ცხადყოფს რომ, საკითხი ნამდვილად პრობლემური, აქტუალური და განსახილველად აუცილებელია ქართული საზოგადოებისთვის.

სამაგისტრო ნაშრომში უპირველესად განხილულია სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობასთან დაკავშირებული ისტორიული წინამძღვრები, მოცემული ცნების მნიშვნელობა ქართულ კანონმდებლობაში. ნაშრომში განხილულია საქართველოს სამოქალაქო სამართლის პრინციპები და აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის საკითხი ქართული კანონმდებლობის შესაბამისად.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სამკვიდროს მიღების გზებზე, ფაქტობრივი დაუფლებით გამოწვეულ პრობლემებზე, იმ შედეგებზე რაც სამემკვიდრეო ქონების ფაქტობრივი დაუფლება და მართვა იწვევს. განსაკუთრებით ხაზგასმულია ის შემთხვევა როდესაც მემკვიდრეობის კანონმდებლობით დადგენილ ექვსთვიან ვადას გაუშვებს და დაუფლება სამკვიდრო ქონებას, რის შემდეგაც მას უწევს შესაბამისი დოკუმენტების წარდგენა საანოტარო ორგანოში ან სასამართლოში რომელიც დაამტკიცებს სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობას.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკისა და თეორიული მასალის ანალიზის ფონზე სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობასთან დაკავშირებით არსებული პრობლემატური საკითხების გამოვლენა და მათი გადაჭრის კონკრეტული გზების ძიება. ნაშრომის მიზანია კანონმდებლობით დადგენილი სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების შემთხვევაში დამდგარი პრობლემის წარმოჩენა და მისი ანალიზი, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, არსებული იურიდიული ლიტერატურის, სასამართლო პრაქტიკის, სტატიების, იმ ნორმების ანალიზი,

¹ საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის დინამიკა.

რომლებიც განსაზღვრავენ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის საკითხებს, რათა უკეთ იქნეს წარმოჩენილი პრობლემის არსი და შესაბამისად შემუშავებულ იქნეს მისი მოგვარების ვარიანტები.

აღნიშნულ ნაშრომის კვლევის მიმდინარეობისას გამოყენებულია როგორც ქართული ლიტერატურა, ასევე უცხოური წყაროები და საკანონმდებლო აქტები. აქედან გამომდინარე, ნაშრომში გამოყენებულია შედარებით სამართლებრივი ანალიზის მეთოდი. სამაგისტრო ნაშრომში სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ინსტიტუტთან არსებული პრობლემური საკითხების შესწავლისას ყურადღება გამახვილებული იქნება სასამართლო პრაქტიკაზე.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: ნაშრომი შედგება 62 გვერდისგან, რომელსაც ახლავს გამოყენებული ლიტერატურა. ნაშრომი სტრუქტურულად შედგება ანოტაციისგან, შესავლისგან, 5 თავისაგან და დასკვნისგან.

2.მემკვიდრეობა და მისი ადგილი სამართლის სისტემაში

მემკვიდრეობის სამართალი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ნაწილს. მემკვიდრეობით სამართლებრივი ნორმები არეგულირებს გარდაცვლილი პირის ქონების სხვა პირებზე გადასვლასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

მემკვიდრეობის სამართალი ადგენს და იცავს მემკვიდრეობის უფლებას, მემკვიდრეობის უფლება კი წარმოადგენს იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობას, რომელთა საფუძველზეც ხდება პირის აღიარება გარდაცვლილის უფლებამონაცვლედ - მემკვიდრედ. მემკვიდრეობის უფლება ამასთან შეიცავს იმ პირის უფლებამოსილებათა შინაარსს, რომელიც სამკვიდრო ქონების დამტოვებლად, ანუ მამკვიდრებლად წარგვედგინება სამემკვიდრეო ურთიერთობაში.²

ადამიანის სიკვდილი არის საფუძველი მემკვიდრეობითი ურთიერთობის წარმოშობასა. შეიძლება ითქვას რომ ამ დროს, მემკვიდრეობით გადადის არა მხოლოდ ცალკეული უფლებები და მოვალეობები, არამედ მათი ერთობლიობა მემკვიდრეებზე, სწორედ ამიტომ მემკვიდრეობა წარმოადგენს საერთო და უნივერსალურ უფლებამონაცვლეობას.³

მემკვიდრეობის სამართალი წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის დასკვნით მეექვსე ნაწილს, რომლის თანახმად : „გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძველით“.⁴

აღსანიშნავია, სამემკვიდრეო კანონმდებლობის კომპლექსური ხასიათი. სადაც უმნიშვნელოვანესი ნაწილი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებია. მემკვიდრეობითი ურთიერთობების გარკვეული ნაწილი დარეგულირებულია ადმინისტრაციული, საფინანსო, მიწის, პროცესუალური და სხვა სახის

² შ.შენგელია. (2011). *მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი" გვ.10.

³ შ.ჩიკვაშვილი. (1999). *საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი" გვ 377.

⁴ *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი*. (1997). მუხლი 1306.

საკანონმდებლო ნორმების დახმარებით. მემკვიდრეობის კანონმდებლობის მოქმედების არეალი არის ფართო, მემკვიდრეობით წმინდა სამოქალაქო-სამართლებრივ ნორმებთან შედარებით. მემკვიდრეობის კანონმდებლობის კომპლექსური ხასიათი სწორედ რომ სხვა დარგების ნორმების გამოყენების აუცილებლობაში გამოიხატება, რაც თავის მხრივ არის მემკვიდრეობით ურთიერთობათა ყველა დეტალის სამართლებრივი რეგულირების უზრუნველყოფის საფუძველი. იმ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლის საფუძველზეც რეგულირდება მემკვიდრეობითი ურთიერთობა, წარმოადგენს მემკვიდრეობის კანონმდებლობას. იგი სამოქალაქო კანონმდებლობის ნაწილია და მემკვიდრეობის სამართლის საფუძველია.⁵

„ იურიდიული ლიტერატურა მემკვიდრეობის დატოვების მიზეზის ასახსნელად ორ ძირითად მოტივს გვთავაზობს ესენია: ალტრუიზმი (ბეჟერი 1974) და საპირისპირო გაცვლა (Bernheim et al. 1985) . ალტრუიზმის მოდელის მიხედვით, საკუთრებაში გადაცემა ხდება კომპენსაციის ნებისმიერი ფორმის გარეშე. გაცვლითი მოდელი კი მიუთითებს იმაზე, რომ მონადერძეები თავიანთ ქონებას იყენებენ, როგორც მათი მემკვიდრეების დარწმუნების საშუალებას, რომ იზრუნებენ მათზე მომავალში, სიბერეში. ამასთან ლიტერატურაში ასევე ნათქვამია, რომ მემკვიდრეობის დატოვების მიზეზები უფრო რთული და ცვალებადია და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, როგორცაა აქტივების ხელმისაწვდომობა ან სხვა ოჯახური ურთიერთობის ხარისხი.“⁶

2.1. მემკვიდრეობის სამართლის განვითარების მიმოხილვა

მემკვიდრეობის უფლება ადამიანის სხვა ძირითად უფლებათაგან ერთ-ერთ უძველეს უფლებას წარმოადგენს. მემკვიდრეობის ინსტიტუტი ჯერ კიდევ მანამდე ვითარდებოდა და მკვიდრდებოდა, ვიდრე წარმოიშობოდა თანამედროვე სახელმწიფო და სამართალი. ადამიანის არსებობის ადრეულ ეტაპზე, მაშინ როდესაც ადამიანის მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილებების საშუალებები საკმაოდ

⁵ რ.შენგელია. (2007). *მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი" გვ47.

⁶ Liliana Sousa, Ana Raquel Silva, Liliana Santos . (28 January 2010). *The family inheritance process: motivations and patterns*.

პრიმიტიული და მწირი იყო, მემკვიდრეობა თანამედროვე გაგებით არ არსებობდა, რაც შეიძლება აიხსნებოდეს იმითაც რომ არ არსებობდა მემკვიდრეობით გადასაცემი ქონება. უძველეს პერიოდში წარმოშობილი ქონებრივი ხასიათის ურთიერთობების მარეგულირებელი ერთადერთი საშუალება სწორედ ის ჩვეულებები და ტრადიციები იყო, რომლებიც მრავალი საუკუნეების განმავლობაში მკვიდრდებოდა და იკიდებდა ფეხს საზოგადოებაში. უწინ მშობლიდან შვილზე შეიძლება გადასულიყო სანადირო და თევზსაწერი იარაღები, თუმცა გვარისა და ტომის, ხოლო მომდევნო პერიოდში - ოჯახის მფლობელობასა და სარგებლობაში რჩებოდა საარსებოდ აუცილებელი პროდუქტები, გარეულ ცხოველთა ტყავი, მოსართავი სმკაულები და სხვა, ასევე არსებობდა ქონება, რომელსაც გარდაცვალებულთან ერთად მარხავდნენ.⁷

მემკვიდრეობის სამართალი შეიძლება მხოლოდ მაშინ გაჩენილიყო, როცა კერძო საკუთრება გაჩნდა, ესე იგი მას შემდეგაც, რაც საგვარეულო სახლი პატარ პატარა სახლობებად დაიყო. მეხუთე საუკუნეში ღვიძლ ძმებს ერთად, ერთსახლში აღარ უცხოვრიათ, იმ შემთხვევაში კი, თუ ქონება გაყოფილი არ ჰქონდათ, თითოეულს მაინც თავისი საკუთარი მეურნეობა და საკუთარი შემოსავალი ჰქონდა. ეჭვ გარეშეა რომ ამაზე ადრეც, თუმცა მე-VIII-IX-ე საუკუნეებში უკვე არსებობდა საკუთრების გაყოფაც და მემკვიდრეობის სამართალიც. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში გ. მერჩულს ნაამბობი აქვს, რომ „ვითარცა აღესრულეს მშობელნი მისნი (ზენონისა), მონაგები მათი დაუტევეს ზენონსა და დასა მისსა, რომელიცა იყო სახლსა შინა მისთანა“ . საკუთრების შემენის შემდეგი გზები არსებობდა: მემკვიდრეობითობით, ანდერძის ძალით, ან სყიდვით. აქედან გამომდინარე, მე VIII-IX-ე საუკუნეებში მემკვიდრეობა და გაყრა ახალი მოვლენა არ ყოფილა და მერვე საუკუნეზე დიდი ხნით ადრე უნდა იყოს საქართველოში შემოდებული. სახლის მამრობითი სქესის ჩამომავალს და მემკვიდრეს „მკვიდრი“ ერქვა.⁸

აღსანიშნავია რომ ქართული სამემკვიდრეო სამართლის ისტორიის განვითარებასთან დაკავშირებით გარკვეულ ცნობებს გვაწვდის მეფე დავით

⁷ რ.შენგელია. (2011). *მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი" გვ11.

⁸ ივ.ჯავახიშვილი. (1929). *ქართული სამართლის ისტორია, წიგნი2*. ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა გვ240.

აღმაშენებლის ანდერძები, რომლის მიხედვითაც ძირითადად მიმართავდნენ კანონიერ მემკვიდრეობას, თუმცა ადგილი ჰქონდა ანდერძისმიერ მემკვიდრეობასაც, ანდერძში კი წესრიგდებოდა ქონებრივი და არაქონებრივი ხასიათის საკითხები, მასში გამოკვეთილი იყო მოანდერძის ინტერესები და წარმოდგენილი იყო მოანდერძის შესახებ მთელი რიგი ინფორმაცია/ბიოგრაფია. ამასთან სამემკვიდრეო სამართლის შესახებ საუბარია ბექასა და ალბუღას, ბაგრატ კურაპალატის და გიორგი ბრწყინვალეს სამართლის წიგნებში, XVIII საუკუნიდან კი ვახტანგ მეფის სამართლის წიგნში და მის მიერ შედგენილი კოდიკოში. საინტერესო ცნობებია მოცემული XIX საუკუნის დასაწყისის შედგენილ ძეგლებში „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“ და სხვა.⁹

2.2 მემკვიდრეობა- კონსტიტუციური უფლება

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი აღიარებს როგორც ერთიანი ღირებულების მქონე სამართლებრივ სიკეთეს, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებას, ასევე უზრუნველყოფს მათი დაცვის გარანტიებს: „საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია“¹⁰

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მემკვიდრეობის უფლება უმაღლესი რანგის სამართლებრივი სიკეთეა. მემკვიდრეობის უფლების გარანტია ავსებს საკუთრების გააღრმავლებას და ორივე ერთად ქმნის კონსტიტუციით გათვალისწინებული კერძო საკუთრებითი წესრიგის საფუძველს. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება ერთად ქმნიან იმ საზოგადოებრივი წყობილების არსებით, ძირითად ელემენტებს, რომლებიც, თავის მხრივ, ადამიანის კერძო ავტონომიის პრინციპს ემყარება. უნდა აღინიშნოს, იგი არ არის გათვალისწინებული „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ დამატებითი ოქმის პირველი მუხლით. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, „მემკვიდრეობის უფლება საკუთრების უფლების ტრადიციულ და ფუძემდებლურ

⁹ შ.ჩიკვაშვილი. (2000). *მემკვიდრეობის სამართალი*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი" გვ 13-14.

¹⁰ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 19.

ასპექტს შეადგენს და არა დამოუკიდებელ ადამიანის უფლებას“ აქედან გამომდინარე, საკუთრების უფლების არსის ცნებაში მოიაზრება მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობებიც, ვინაიდან სწორედ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ საკუთრების ანდერძით ან კანონით გადაცემა წარმოადგენს მემკვიდრეობით სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველს.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა რომ: „ მემკვიდრეობის უფლების არარსებობა მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა კერძო საკუთრების ინსტიტუტზე, ამ შემთხვევაში კერძო საკუთრება აღმოჩნდებოდა სახელმწიფოს ხელში ეს ფაქტი კი გამოიწვევდა მის დასუსტებას. მემკვიდრეობის უფლების ფუნქციას სწორედ იმის უზრუნველყოფა წარმოადგენს, რომ მესაკუთრის გარდაცვალებასთან ერთად არ მოხდეს კერძო საკუთრების, როგორც საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვის საფუძვლის დაკარგვა, არამედ ის შენარჩუნდეს სამართალმემკვიდრეობის გზით. რომ არა მემკვიდრეობის უფლება თავად საკუთრების უფლების არსი დაიყვანება მფლობელობამდე, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ვადით შემოიფარგლება და რომელსაც ფაქტობრივი დასასრული აქვს და არა სამართლებრივი“.

მემკვიდრეობის კონსტიტუციური უფლება არის ძირითადი უფლების სახით რეგლამენტირებული თავისუფლების გარანტიის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი რასაც განამტკიცებს მემკვიდრეობის უფლების გარანტიის ორგვარი სახე ესაა: მამკვიდრებლის უფლება, როდესაც მას ანდერძის საფუძველზე შეუძლია განკარგოს თავისი ქონება და მემკვიდრის უფლება, შეიძინოს შესაბამისი საკუთრება მემკვიდრეობის მეშვეობით. მემკვიდრეობის უფლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნული თავისუფლების უზრუნველყოფაში. ასევე მემკვიდრეობა წარმოადგენს საკუთრების შეძენის ან მისი განკარგვის ერთ-ერთი საშუალებას.

ცხადია საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში საკმაოდ მკაფიოდ უსვამს ხაზს მემკვიდრეობისა და საკუთრების უფლებათა მჭიდრო ურთიერთკავშირს და ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს რომ „ საკუთრების შეძენის უფლების მსგავსად, მემკვიდრეობით მიღების უფლებაც საკუთრების წარმოშობამდე მიმდინარე პროცესებს არეგულირებს, შესაბამისად, ეს უფლებაც

იცავს პირის შესაძლებლობას, გახდეს მესაკუთრე მემკვიდრეობის გზით. უფლება რეალიზებულად უნდა მივიჩნიოთ პირზე მემკვიდრეობის გზით საკუთრების უფლების გადასვლის მომენტიდან. ამის შემდგომ პიროვნების ქონება დაცულია საკუთრების თავისუფალი ფლობისა და განკარგვის კონსტიტუციური გარანტიით.¹¹

2.3 ქონება როგორც მემკვიდრეობის ობიექტი, სამემკვიდრეო ურთიერთობის ინტერესის საგანი

სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის დეფინიცია შემდეგნაირია: „ქონება, ამ კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შემენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით, ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.“¹²

147-ე მუხლის თანახმად, ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. კოდექსი ასევე შეიცავს ნივთისა და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის დეფინიციებს რომლებიც მოცემულია შემდეგ მუხლებში: 148 , 149 , 152. ქონების ცნება კი საჭიროებს დაზუსტებას. სსკ-ის მე-7 მუხლში გადმოცემულია თუ რა წარმოადგენს კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს ეს შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული. ობიექტის ეს ცნება მჭიდრო კავშირშია 147 -ე მუხლით განსაზღვრულ ქონების ცნებასთან, რომელიც მე-7 მუხლში მოცემული ობიექტის შინაარსს აზუსტებს და მას „ქონების“ სახელწოდებით განამტკიცებს.¹³

¹¹ ა.ფირცხალაშვილი. (2013). *საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები ავტორთა კოლექტივი*. თბილისი: გამომცემლობა შპს "პეტიტი" გვ211-212.

¹² *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 147. (1997).*

¹³ დ.კერესელიძე. (2009). *უზოგადესი ცნებები*. თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა გვ185.

შეიძლება ითქვას რომ „ობიექტის“ ცნებას არა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და იგი 147 -ე მუხლის „ქონების“ ცნების იდენტურია.¹⁴ მიუხედავად იმისა რომ მე-7 მუხლში განსაზღვრული „ობიექტის“ ცნება შეიცავს ასევე არაქონებრივი ღირებულების სიკეთეებსაც როგორცაა: პატივი, საქმიანი რეპუტაცია, ღირსება და სხვ., მათი ბრუნვაუნარობის გამო, ისინი განიხილებიან სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის ობიექტებად და არა სამოქალაქო ბრუნვის ობიექტებად.¹⁵

იურიდიულ ლიტერატურაში, როგორც ასეთი ცალსახად არ არის ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე ერთმანეთისგან გამიჯვნილი. გამიჯვნის კრიტერიუმი, უპირველეს ყოვლისა, ფიზიკური სუბსტანციის არსებობა/არარსებობაა. ნივთი არის ისეთი საგანი, რომელსაც გააჩნია სხეულებრივი, მატერიალური მდგომარეობა, არამატერიალური საგანი კი არის უსხეულო, ინტელექტუალური და მისი სივრცობრივად შემოსაზღვრა შეუძლებელია; არამატერიალური საგნები ერთმანეთისგან განსხვავდებიან დროსა და სივრცეში არსებობის მიხედვით, ხოლო ტიპური მატერიალური საგნების თანაარსებობა დროსა და სივრცეში შესაძლებელია.¹⁶

არამატერიალური საგნები უნივერსალურია. სამოქალაქო კოდექსში განმტკიცებული ქონების დეფინიცია შეიცავს როგორც ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს, ასევე მათთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების შეძენას, ფლობას, სარგებლობას, განკარგვას, რაც ამ ქონების მფლობელს განსაზღვრულ მატერიალურ სარგებელს ანიჭებს.¹⁷ აქედან გამომდინარე, ქონების ცნების საფუძველი სწორედ მისი მატერიალური სარგებლიანობაა, ვინაიდან, მას აქვს განსაზღვრული საბაზრო ფასი და იგი განხილულ უნდა იქნეს ზიანის ანაზღაურების პერსპექტივიდან. ზიანი კი არის ყველა ის ნაკლოვანება, რომლებიც წარმოიშობა

¹⁴ ლ.ჭანტურია. (2011). *სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი*. თბილისი : გამომცემლობა "სამართალი" გვ139

¹⁵ ლ.ჭანტურია. (2011). *სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი*. თბილისი: გამომცემლობა "სამართალი" გვ138.

¹⁶ ბ.ზოიძე. (2003). *ქართული სანივთო სამართალი გვ46-48*.

¹⁷ ბ.ზოიძე. (1999). *სამოქალაქო კოდექსის კომენტარები წიგნი2, გვ15*.

პირის კუთვნილ სამართლებრივ სიკეთეებზე. მართალია, ზიანის ანაზღაურების ნორმები რომლებიც გაწერილი სამოქალაქო კოდექსის 408-415 მუხლებში განსაზღვრავს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოვალეობას, თუმცა არ ახდენს მათ გამიჯვნას. სამართლებრივი სიკეთის დაცვა უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის საფუძველზე და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზნეობის ნორმებს . აღსანიშნავია, რომ ქონების ცნებაში არ იგულისხმება ის შემოსავალი, რომელიც აკრძალული საქმიანობის შედეგად იქნა მიღებული, მაგალითად როგორცაა პროსტიტუციიდან მიღებული შემოსავალი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ სამოქალაქო კოდექსის ენით, ქონებას წარმოადგენს ფიზიკური ან იურიდიული პირის ფულადი ღირებულების მქონე მოძრავი ან უძრავი ნივთი, ასევე მოთხოვნა და უფლება, რომელთა ფლობა და განკარგვა არ არის კანონით აკრძალული ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს. ასევე აუცილებელია სამართლებრივად იმის დაზუსტება, თუ რას მოიცავს ქონება: მხოლოდ აქტივს, იმ უფლებებსა და მოთხოვნებს, რომლებიც მატერიალური სარგებლობის მომტანია, თუ ასევე პასივს – რომლებსაც წარმოადგენს ის ვალდებულებები, რომლებითაც აღნიშნული ქონებაა დატვირთული. კოდექსის 147-ე და 152- ე მუხლების თანახმად, ქონების ცნებაში ცალსახად იგულისხმება მხოლოდ ნივთები, უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მის მფლობელს მატერიალურ სარგებელს ანიჭებს და ამით გამორიცხავს პასივს. მაგრამ ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 1306-ე 1328-ე მუხლების თანახმად, მემკვიდრეებზე გადადის მამკვიდრებლის ქონება, რომელიც მოიცავს როგორც ქონებრივი უფლებების-სამკვიდრო აქტივს, ასევე ვალდებულებების - სამკვიდრო პასივის ერთობლიობას. აქედან გამომდინარე, ქონების ცნებაში უნდა განისაზღვროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სამართლის ნორმის ტელეოლოგიური ინტერპრეტაციის გზით.¹⁸

¹⁸ ლ.ჭანტურია. (2011). *სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი*. თბილისი: გამომცემლობა "სამართალი" გვ158-160.

2.4 საკუთრების უფლებისა და მემკვიდრეობის ურთიერთკავშირი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი განამტკიცებს საკუთრების უფლებას:

1. „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.
2. უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა, და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია.
3. სარგებლობის უფლება მოიცავს ასევე შესაძლებლობას, არ ისარგებლოს პირმა თავისი ნივთით. კანონით შეიძლება დაწესდეს სარგებლობის ან მოვლისა და შენახვის ვალდებულება, თუკი ამ ნივთის გამოუყენებლობა ან მოუვლელობა ხელყოფს საზოგადო ინტერესებს. ამ შემთხვევაში მესაკუთრეს შეიძლება ან თვითონ დაეკისროს ვალდებულების შესრულება, ან შესაბამისი სასყიდლით ნივთის გადაცემა სხვა პირის სარგებლობაში.“¹⁹

საკუთრების უფლება წარმოადგენს ადამიანის იმ ძირითად უფლებას, რომელიც მისი პიროვნული თავისუფლების გამოხატულებაა. სწორედ საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და თითოეული ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფაა სამართლებრივი წყობის ამოცანა. პირის განვითარებისათვის აუცილებელია, მას გააჩნდეს განვითარებისათვის საჭირო სივრცე და საგნები, რომელთა თავისუფლად განკარგვაც შეეძლება. საკუთრება კი ქმნის პირის საგნებთან დაკავშირებულ თავისუფლებას. საქართველოს კონსტიტუცია აყალიბებს

¹⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 170. (1997).

საკუთრების დეფინიციას. სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის ამოცანა საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ საკუთრების შინაარსის სრულად კერძოსამართლებრივი რეგულირება არ წარმოადგენს. 170-ე მუხლი არის ლიბერალური საზოგადოებრივი წესრიგის გამომხატველი ნორმა, რომლითაც უზრუნველყოფილია ადამიანის მიერ კანონიერად მოპოვებული ქონების დაცვა რომლითაც იგი თავიდან იცილებს შიდა საზოგადოებრივ კონფლიქტებს. საკუთრების უფლების მიზანია, თითოეულ პიროვნებას შეუქმნას თავისუფალი სივრცე რათა მოაწესრიგოს ქონებრივი ურთიერთობები, რაც მას ხელს შეუწყობს, თავის პასუხისმგებლობით პირადი ცხოვრების მოწყობაში. საკუთრების უფლება და პიროვნული თავისუფლება ერთმანეთთან მჭიდროდაა, სადაც საკუთრების უფლების ფუნქციას პიროვნული თავისუფლების უზრუნველყოფა წარმოადგენს.²⁰

2.5 მამკვიდრებელი - მემკვიდრეობითი სამართლის მთავარი ფიგურა

მემკვიდრეობის სამართლის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა არის სამკვიდროს დამტოვებელი, მამკვიდრებელი. მამკვიდრებლის გარდაცვალება განაპირობებს სამემკვიდრეო ურთიერთობათა წარმოშობას.²¹

მამკვიდრებელია პირი, რომლის გარდაცვალების შემდგომ, მისი კუთვნილი ქონება გადადის სხვა პირის ან პირთა საკუთრებაში, იგი შეიძლება იყოს როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არმქონე პირი და ასევე უცხოელი, რომელსაც მუდმივი საცხოვრებელი გააჩნია საქართველოს ტერიტორიაზე, ამასთან მამკვიდრებელი შესაძლოა იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, რომლის დანატოვარი სამკვიდრო ქონების გადასვლა ხდება სხვა პირებზე-მემკვიდრეებზე.²²

მამკვიდრებლად ვერ მოგვევლინება ვერცერთი საზოგადოებრივი წარმონაქმნი, იქნება იგი იურიდიული პირი თუ არა. ხშირად იურიდიული პირის

²⁰ ჭანტურია (რედ), თოთლაძე (ავტ). (2018). *სამოქალაქო კოდექსის კომენტარები გვ73*.

²¹ რ.შენგელია. (2011). *მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი" გვ18.

²² შ.ჩიკვაშვილი. (2000). *მემკვიდრეობის სამართალი*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი" გვ22.

რეორგანიზაციისას, ახლად შექმნილ იურიდიულ პირს რეორგანიზებული წარმონაქმნის მემკვიდრედ თვლიან, ასეთ შემთხვევაში ადგილი ექნება არა მემკვიდრეობით უფლებამონაცვლეობას, არამედ უნივერსალურ უფლებამონაცვლეობას. კანონით მემკვიდრეობის დროს მამკვიდრებელი შეიძლება იყოს როგორც ქმედუნარიანი, ისე ქმედუუნაროც. ამ დროს ქონების სხვა პირის ხელში გადასვლა არ საჭიროებს მამკვიდრებლის ნების გამოხატვას ან რაიმე მოქმედების შესრულებას. მაგრამ ანდერძით მემკვიდრეობის შემთხვევაში კი საკითხი სხვაგვარად წესრიგდება. ანდერძი გარიგებაა რომელიც პირველ რიგში უნდა იყოს გამოვლენილი ქმედუნარიანი პირის მიერ და იგი უნდა გამოხატავდეს მამკვიდრებლის ნებას რომელიც უნდა იყოს უდებექტო. როგორც უკვე ვთქვით ანდერძის ნამდვილობისათვის აუცილებელია რომ ის შეადგინოს ქმედუნარიანმა პირმა. აქედან გამომდინარე, ანდერძით მემკვიდრეობის დროს მამკვიდრებელი უნდა იყოს ქმედუნარიანი პირი. გამონაკლისს წარმოადგენს არასრულწლოვანი დაქორწინებული ან ემანსიპირებული პირები. რომლებიც, მიუხედავად მათი ასაკისა, ითვლებიან სრულ ქმედუნარიანად და მათ მსგავსად შეუძლიათ ანდერძის შედგენა. რაც შეეხება ქმედუუნაროებსა და შეზღუდულ ქმედუნარიანებს მათ არ აქვთ ანდერძის შედგენის უფლება. მათ მიერ შედგენილი ანდერძები ნებიერიერ დროს შეიძლება დავის საგანი გახდეს. უფრო მეტიც, ქმედუნარიანი პირის მიერ მძიმე ავადმყოფობის პერიოდში შედგენილი ანდერძიც, შეიძლება გაბათილდეს სასამართლოს მიერ, თუ ავადმყოფს არ შეეძლო თავისი მოქმედების გაკონტროლება ანდერძის შედგენის მომენტში. აქედან გამომდინარე, მამკვიდრებლის ანდერძისუნარიანობის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს.²³

2.6 მამკვიდრებლის უფლებამონაცვლე-მემკვიდრე

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლის თანახმად მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ:

²³ რ.შენგელია. (2011). *მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი" გვ18-19.

ა) კანონით მემკვიდრეობის დროს – პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, და აგრეთვე მამკვიდრებლის შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადებიან;

ბ) ანდერძით მემკვიდრეობისას – პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა, ასევე იურიდიული პირები.²⁴

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მემკვიდრის, როგორც მამკვიდრებლის უფლებამონაცვლის სტატუსის გარკვევას. 1307-ე და მომდევნო მუხლები როგორც ანდერძით, ისე კანონით მემკვიდრეთა სისტემატიზაციას ეძღვნება. პირი ვისზედაც უფლებამონაცვლების გზით გადადის მამკვიდრებლის ქონებრივი უფლება- მოვალეობები ითვლება მემკვიდრედ. მამკვიდრებელისგან განსხვავებით რომელიც მხოლოდ ფიზიკური პირი შეიძლება იყოს, მემკვიდრედ როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებიც გამოდიან. მნიშვნელობა არ აქვს არიან ისინი კერძო თუ საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტები, კომერციული თუ არაკომერციული ხასიათისა და ყველაზე საყურადღებო ისაა რომ, ქონება მემკვიდრეობით შესაძლოა გადაეცეს საქართველოს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებსა და ხელისუფლების მუნიციპალური სტრუქტურებს. როგორც წესი იურიდიული პირები მემკვიდრეებად უმეტესად ანდერძით მემკვიდრეობის დროს გამოდიან. კანონით მემკვიდრეობისას, იშვიათად, მაშინ როცა გარდაცვლილის ქონება ბეითალმანად არის ცნობილი, იგი შეიძლება გადაეცეს სახელმწიფოს ან სხვა საზოგადოებრივ წარმონაქმნს. იმისათვის რომ იურიდიულ პირზე ანდერძით მემკვიდრეობის საფუძველზე ქონება გადაეცეს აუცილებელია, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის იურიდიული პირი შექმნილი უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით. არ დაიშვება ანდერძში მიეთითოს იმ იურიდიული პირისათვის ქონების მემკვიდრეობით გადაცეის შესახებ, რომელიც შეიქმნება მომავალში, მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ. ასეთი წესით შედგენილი ანდერძი აუცილებლად გახდება მისი ბათილობის საფუძველი.

²⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1307. (1997).

ფიზიკური პირები მონაწილეობენ როგორც კანონით ასევე ანდერძით მემკვიდრეობის დროს. დადგენილია რომ მემკვიდრეობად შეიძლება გამოვიდნენ ის ფიზიკური პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, ქმედუნარიანები არიან ისინი თუ ქმედუნარონი ან შეზღუდულქმედუნარიანები. თუმცა აღნიშნული წესიდან არსებობს გამონაკლისი თავისებურებები იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ არ დაბადებულა. იმ შემთხვევაში თუ ანდერძში მიეთითა მემკვიდრეზე რომელიც ჩაისახა მამკვიდრებლის სიცოცხლის პერიოდში და დაიბადა მისი გარდაცვალების შემდეგ ასეთი მემკვიდრე შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი - მამკვიდრებლის შვილი, ახლო ნათესავი თუ სრულიად უცხო. მთავარი პირობაა რომ ანდერძი უნდა მიუთითებდეს ასეთ პირზე. ასეთ დროს მნიშვნელობა ენიჭება დროის ფაქტორს და მაგალითად თუკი ბავშვი დაიბადა მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, იგი ვერ იქნება მემკვიდრედ აღიარებული და ანდერძი გაბათილდება რადგან ბავშვის ჩასახვა არ ემთხვევა მამკვიდრებლის სიცოცხლის პერიოდს. უფრო დაზუსტებით კი ბავშვი მამკვიდრებლის სიცოცხლეში ჩასახულად ჩაითვლება, თუ მისი გარდაცვალებიდან ბავშვის დაბადებამდე გასულია არა უმეტეს ათი თვის. მაგრამ განსხვავებულად წესრიგდება აღნიშნული საკითხი კანონით მემკვიდრეობის დროს. სადაც, მემკვიდრედ ჩაითვლება ის შვილი, რომელიც ჩაისახა მამკვიდრებლის სიცოცხლეში და ცოცხალი დაიბადა მისი გარდაცვალების შემდეგ. ამ შემთხვევაში კანონი ხაზს უსვამს მამკვიდრებლის მხოლოდ შვილზე და არა სხვა პირზე, მათ შორის და-ძმა, შვილიშვილი ან მით უმეტეს, არანათესავი, რომელიც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ დაიბადება. ამასთან ყურადღება გასამახვილებელია კიდევ ერთ ფაქტზე რომ იმისათვის რომ ბავშვი მემკვიდრედ ჩაითვალოს იგი აუცილებლად ცოცხალი უნდა დაიბადოს. მემკვიდრეობის შინაარსიდან გამომდინარე ბავშვის ინტერესი მხოლოდ ასეთ შემთხვევაში უნდა იქნეს გათვალისწინებული. წინააღმდეგ შემთხვევაში თუ ბავშვი მკვდარი დაიბადება, მაშინ მისი ჩასახვის მომენტი ყოველგვარ იურიდიულ მნიშვნელობას დაკარგავს და ჩაითვლება რომ მისი უფლებაუნარიანობა საერთოდ არ წარმოშობილა.²⁵

²⁵ რ.შენგელია. (2011). *მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)*. თბილისი გამომცემლობა "მერიდიანი".

„აშშ-ს უმეტეს შტატებში ბავშვებს არ აქვთ სამემკვიდრეო საკუთრების კანონიერად დაცული უფლება, მაგრამ ისინი დაცულები იქნებიან როცა უნებლიედ არიან დატოვებულნი ანდერძის გარეთ. მაგალითად, ამერიკის კანონი ვარაუდობს, რომ როდესაც მშობელმა ანდერძში შეიყვანა ყველა ბავშვი გარდა იმ ერთისა, რომელიც დაიბადა ანდერძის შედგენის შემდეგ, ივარაუდება რომ მისი გამოტოვება იყო შემთხვევითი და მას მიენიჭება თანაბარი წილი.“²⁶

„მემკვიდრედ ჩაითვლება ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვიც. რაც შეეხება მის დედას, ასეთი ბავშვი დედის მემკვიდრედ ყველა შემთხვევაში შეიძლება გამოვიდეს. მამის მემკვიდრეობა კი, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კანონით დადგენილი წესით მამობა ნებაყოფილობითაა აღიარებული ან დადგენილა სასამართლო წესით. ორივე შემთხვევაში არარეგისტრირებულ ქორწინებაში გაჩენილი ბავშვი ღვიძლი შვილის სტატუსს იძენს. თუკი იგი მამაზე ადრე გარდაიცვლება, მის შვილებს შეუძლიათ მოითხოვონ წილი იმ ქონებიდან, რომელიც მემკვიდრეობით მათ მამას ეკუთვნოდა. ასევე ითვლება მშვილებლების მემკვიდრეობად მათი ნაშვილები პირები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ სამკვიდროს მიღების იმ საფუძვლებზე , რომელიც ქართულ მემკვიდრეობით სამართალში გვაქვს.“²⁷

3.მემკვიდრეობის საფუძვლები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის შესაბამისად:
1.გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით.²⁸

²⁶ Amy Baker - Article. (2019). *USA inheritance laws*.
<https://www.propertyguides.com/usa/news/usa-inheritance-laws/>

²⁷ რ.შენგელია. (2011). *მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი" გვ20-22.

²⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1306. (1997).

დღევანდელი კანონი განამტკიცებს მემკვიდრეობის საფუძვლებს რომლებსაც წარმოადგენს ანდერძი და კანონი. შეიძლება, სამკვიდრო ქონების ერთი ნაწილი გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლეზე ანდერძით გადავიდეს, მეორე ნაწილი კი- კანონის საფუძველზე. ანდერძი წარმოადგენს პირის განკარგულებას რომლითაც განსაზღვრულია მემკვიდრეობით გადასაცემი ქონების ბედი, ანდერძის საშუალებით შეუძლია მამკვიდრებელს განსაზღვროს მისი გარდაცვალების შემთხვევაში ვინ იქნება მისი უფლებამონაცვლე და ვის გადაეცემა ქონება. ხოლო მაშინ ,როდესაც გარდაცვლილ პირს ანდერძი არ დაუტოვებია, ანდერძი ეხება ქონების ნაწილს ან ანდერძი ნაწილობრივ ან მთლიანად ბათილად იქნა ცნობილი, უფლებამონაცვლეობის საკითხები წყდება კანონის საფუძველზე. შესაბამისად, არსებობს მემკვიდრეობის ორი სახე: ანდერძისმიერი მემკვიდრეობა და კანონისმიერი მემკვიდრეობა. დაუშვებელია მემკვიდრეობის აღნიშნული საფუძვლები ერთმანეთს დაუპირისპიროთ. შესაძლოა რომ უფლებამონაცვლეზე ქონება გადავიდეს ორივე საფუძვლით. ასევე, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მხოლოდ ანდერძი და მხოლოდ კანონი მემკვიდრეობას არ წარმოშობს. აუცილებელია სხვადასხვა იურიდიული ფაქტოს არსებობა. მაგალითად, როგორცაა პირის გარდაცვალება, კანონით განსაზღვრულ პირთა შორის უფლებამონაცვლის არსებობა, ანდერძის ფორმის დაცვა და სხვა. ასეთ იურიდიული მნიშვნელობის მოთხოვნებს, ყველა შემთხვევაში კანონი განსაზღვრავს. მემკვიდრეობითი სამართლის კანონმდებლობა მემკვიდრეობის რომელიმე საფუძველს წინა პლანზე არ აყენებს თუმცა აღსანიშნავია, რომ მათი შინაარსისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით რომ სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების პროცესში განმსაზღვრელია ავტონომიურობისა და დისპოზიციურობის პრინციპები, პირველადი მნიშვნელობა მაინც ანდერძისმიერ მემკვიდრეობას ენიჭება. ამასთან კანონისმიერი მემკვიდრეობა მაშინ გვაქვს სახეზე როცა ანდერძი არ არსებობს ან ანდერძს გარეთ დარჩენილი ქონება უნდა გადაეცეს გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლეს. ასეთი მიდგომას , კარგი იქნება თუ საბაზრო ურთიერთობების პერიოდის კანონმდებელიც გაიზიარებს.²⁹

²⁹ რ.შენგელია. (2011). *მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი" გვ18.

3.1 მემკვიდრეობა კანონით

გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე – მოქმედებს, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი.³⁰

აღსანიშნავია რომ კანონისმიერი მემკვიდრეობა უფრო მეტად არის გავრცელებული სანოტარო საქმიანობაში ვიდრე ანდერძისმიერი. აღნიშნულის მიზეზი კი ალბათ ის გახლავთ რომ საზოგადოებისათვის შედარებით მისაღები კანონისმიერი მემკვიდრეობისათვის დადგენილი წესების გამოყენებაა. ასევე შესაძლოა ეს იმითაც აიხსნას, რომ პირისთვის გარდაცვალება იმდენად მოულოდნელია რომ ვერც კი მოიაზრებს საკუთარი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ნების გამოხატვას. კიდევ ერთი ფაქტორი რითაც შეიძლება გამოიხატებოდეს კანონისმიერი მემკვიდრეობის უფრო მეტად აქტუალურობა ეს არის ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობა , ანდერძის შედგენისას ადამიანი ფიქრობს გარდაცვალებაზე და იმ შედეგებზე რაც მისი გარდაცვალების შედეგად შესაძლოა მოხდეს.³¹

კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან:

I. პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები). ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიური ნათესავების, აგრეთვე დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ. შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები

³⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1306. (1997).

³¹ შ.ჩიკვაშვილი. (2000). *მემკვიდრეობის სამართალი*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი" გვ73.

კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა. შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. მშვილებელი და მისი ნათესავები, როგორც ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან ნაშვილების მშობლებსა და სხვა ბიოლოგიურ ნათესავებთან. ნაშვილების მშობლებს, აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიურ ნათესავებსა და და-ძმებს აღარ ეკუთვნით კანონით მემკვიდრეობა ნაშვილების ან მისი შთამომავლების გარდაცვალების შემდეგ.

II. მეორე რიგში – გარდაცვლილის დები და ძმები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდა.

III. მესამე რიგში – ბებია და პაპა, ბებულის დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. ბებულის დედ-მამა და პაპის დედ-მამა კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან.

IV. მეოთხე რიგში – ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები.

V. მეხუთე რიგში – ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არიან, მაშინ მათი შვილები.³²

კანონით მემკვიდრეობის საყრდენი საოჯახო ან ნათესაური საწყისებია. საოჯახო საფუძვლის დროს მამკვიდრებლის ახლო მემკვიდრეებად გამოდიან მისი ოჯახის წევრები- მეუღლე, შვილები, მშობლები და სხვ. რაც შეეხება შვილად აყვანილებს, ისინი გათანაბრებულნი არიან შვილებთან. მეორე შემთხვევის დროს კი მემკვიდრეობის დასაყრდენი არის სისხლით ნათესაობა. მეუღლეს სისხლით

³² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. (1997). მუხლი 1336.

ნათესაური კავშირი არ აქვს. მამკვიდრებელთან ფიზიოლოგიური კავშირი ყოველთვის არ შეესაბამება თანამედროვე ინდივიდუალიზმის პირობებში არსებულ ზნეობრივ წარმოდგენებს. შესაბამისად, კანონმდებლობების დიდ ნაწილს კანონით მემკვიდრეობა ნათესაობის განსაზღვრულ ხარისხის ოდენობის ფარგლებში აქვს დააწესებული. მაშინ, როდესაც ანდერძის მემკვიდრეობის არეალში მოუწესრიგებელია საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრული ნაწილი ამ შემთხვევაში კანონით მემკვიდრეობა წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას რომელიც სრულყოფასოვნად ასრულებს თავის მოვალეობას. გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა : მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი; ანდერძი ეხება სამკვიდრო ქონების მხოლოდ ნაწილს; ანდერძი ნაწილობრივ ან მთლიანად იქნა ცნობილი ბათილად და მემკვიდრე გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნამდე ან უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე. ამ დროს უკვე კანონი იწებს თავის ფუნქციის შესრულებას. იგი მამკვიდრებლის ნებისშესაძლო ვარაუდს კოლექტიურინების ხასიათს აძლევს და ზოგად სამემკვიდრეო სამართლებრივ პრინციპებს უსადაგებს. სწორედ ამიტომ, კანონით და ანდერძით მემკვიდრეობას შორის არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა ფაქტობრივად არ არსებობს. ორივე სახისთვის განმსაზღვრელია მამკვიდრებელთან საოჯახო და ნათესაური ურთიერთობის არსებობა. აღნიშნული კრიტერიუმებითაა შესაძლებელი მამკვიდრებლისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანების სამემკვიდრეო უფლებების მაქსიმალური დაცვა. ადრე მოქმედი კანონმდებლობისგან განსხვავებით, კანონით მემკვიდრეთა წრე საგრძნობლად გაიზარდა. თითოეულ მათგანს სხვადასხვა დონის სიახლოვე აკავშირებთ მამკვიდრებელთან. ზოგი ახლო ნათესავია, როგორცაა, შვილი ან მშობელი, ზოგი კი- ოჯახის წევრი, მაგალითად, მეუღლე, შვილი და შვილიშვილი და ა.შ ამასთან სრულიად შესაძლოა რომ მემკვიდრეთა წრეში იყოს ისეთი პირი, რომელიც არც იცნობდა მამკვიდრებელს ანდა მისი შორეული ნათესავია. მემკვიდრეები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან თითოეულ რიგში სარგებლობენ სამკვიდრო ქონებიდან თანასწორი წილის მიღების უფლებით.³³

³³ რ.შენგელია. (2011). *მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი" გვ126.

საყურადღებოა, როგორ რეგულირდება აღნიშნული საკითხი სხვადასხვა ქვეყნებში. მაგალითად თურქეთში სამკვიდრო ქონება მემკვიდრეებზე შემდეგნაირად ნაწილდება:

- პირველი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენენ გარდაცვლილის შვილები, და თუ ისინი აღარ არსებობენ, მათი შვილები.
- შვილების და შვილიშვილების არარსებობის შემთხვევაში, გარდაცვლილის მშობლები არიან მისი მეორე რიგის კანონიერი მემკვიდრეები.
- თუკი გარდაცვლილის მშობლები აღარ არიან ცოცხლები, მესამე რიგის კანონიერ მემკვიდრეებს წარმოადგენენ მისი ბებია-პაპები და მათი შვილები.
- თუ გარდაცვლილის მეუღლე გარდაცვლილის ბავშვებთან ერთად არის კანონიერი მემკვიდრე, ის მიიღებს სამკვიდროს მეოთხედს.
- თუ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე გარდაცვლილის მშობლებთან და მათ შვილებთან ერთად არის კანონიერი მემკვიდრე, ის მიიღებს სამკვიდროს ნახევრს.
- თუ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე გარდაცვლილის ბებია-პაპებთან და მათ შვილებთან ერთად არის კანონიერი მემკვიდრე, ის მიიღებს სამკვიდროს სამ მეოთხედს.
- თუ არ არსებობს ზემოთ ნახსენები არცერთი კანონიერი მემკვიდრე, სამკვიდრო სრულად გადადის ცოცხლად დარჩენილ მეუღლეზე.
- თუ არცერთი კანონიერი მემკვიდრე და არც მეუღლე აღარ არის ცოცხალი, გარდაცვლილის სამკვიდრო ქონება რჩება სახელმწიფოს.
- ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს აქვთ თანაბარი უფლებები გახდნენ დედის მემკვიდრეები, სხვა ბავშვებთან ერთად. თუ ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს მამა აღიარებს, ან თუ ბავშვის მამად აღიარება დადგენილია სასამართლოსთვის მიმართვის გზით, ისინი თანაბარი მემკვიდრეები არიან ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებთან ერთად.
- ნაშვილებ ბავშვებს თანაბარი უფლებები აქვთ გარდაცვლილის კანონიერ ბავშვებთან ერთად. ამგვარად ისინი მიიღებენ იმავე თანხას, როგორც გარდაცვლილის სხვა ბავშვები. მშვილობელს არ აქვს უფლება შეეცილოს ნაშვილებ ბავშვს მის საკუთრებაში. ნაშვილები ბავშვი შესაძლოა იყოს მისი ბიოლოგიური მშობლების “ab intestat” მემკვიდრე და ერთდროულად შეუძლია გახდეს მათი და

მისი მშვილობლების მემკვიდრე. “ab intestat” სამკვიდროს შემთხვევაში სამკვიდრო აქტივების ტრანსფერი ხორციელდება ავტომატურად სამკვიდროს მფლობელი პირის გარდაცვალების დროს. სამკვიდროს გაუქმება შესაძლებელია სამი თვის ვადაში გარდაცვალებიდან. როდესაც დავალიანებების თანხა აღემატება აქტივების ჯამს, გაუქმება განიხილება როგორც ავტომატური.

არასრულწლოვანთა (18 წლამდე) კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ უარის თქმა სამკვიდროზე მათი სახელით.

მემკვიდრეობაზე უარის თქმა შესაძლებელია. ასეთ შემთხვევაში, მეანდერძე (მამკვიდრებელი) და მემკვიდრე ხელს აწერენ გარიგებას ნოტარიუსის წინაშე. ეს შესაძლოა განხორციელდეს გარკვეული პირობით. თუ მემკვიდრე ღებულობს სანაცვლოდ კომპენსაციას, ეს გავლენას იქონიებს მის მემკვიდრეებზე და ისინი ვერ გახდებიან იმავე მამკვიდრებლის მემკვიდრეები.³⁴

საინტერესოა ასევე გერმანიის მაგალითი სადაც: - პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან მამკვიდრებლის შთამომავლები. სამკვიდროს გახსნის მომენტში ცოცხლად მყოფი შთამომავალი გამორიცხავს იმ შთამომავლების მემკვიდრეობას, რომლებიც მამკვიდრებელთან ნათესაურ კავშირში იმყოფებიან მისი მეშვეობით. იმ შთამომავლის ადგილს, ვინც სამკვიდროს გახსნის მომენტში აღარ არის ცოცხალი, იკავებენ შთამომავლები, რომლების მამკვიდრებელთან ნათესაურ კავშირში იმყოფებიან მისი მეშვეობით (მემკვიდრეობა ნათესაური ხაზით). შვილები მემკვიდრეობას იღებენ თანაბარწილად.

მეორე რიგის კანონით მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან მამკვიდრებლის მშობლები და მათი შთამომავლები. თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში მშობლები ცოცხლები არიან, მაშინ მემკვიდრეობას იღებენ მხოლოდ ისინი და ამასთან - თანაბარწილად. თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში მამა ან დედა აღარ არიან ცოცხლები, მაშინ გარდაცვლილის ადგილს იკავებენ მისი შთამომავლები პირველი რიგის კანონით მემკვიდრეობის მიმართ მოქმედი ნორმების თანახმად. თუ შთამომავლები სახეზე არ არიან, მაშინ მემკვიდრეობას იღებს მხოლოდ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე. გათვალისწინებულ შემთხვევებში შვილად აყვანილი ბავშვი და ბიოლოგიური

³⁴ თურქეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება.

https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/turketi.pdf

მშობლების შთამომავლები ან ბავშვის სხვა მშობლები ერთმანეთის მიმართ არ მიეკუთვნებიან მეორე რიგის კანონით მემკვიდრეებს.

-მესამე რიგის კანონით მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან მამკვიდრებლის პაპები და ბებიები და მათი შთამომავლები. თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში პაპები და ბებიები ცოცხლები არიან, მაშინ მემკვიდრეობას იღებენ მხოლოდ ისინი და , ამასთან, -თანაბარწილად. თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში აღარ არიან ცოცხლები პაპები და ბებიები, რომლებიც წარმოადგენენ საქორწინო წყვილს, მაშინ გარდაცვლილის ადგილს იკავებენ მისი შთამომავლები. თუ შთამომავლები სახეზე არ არიან, მაშინ გარდაცვლილის წილი გადადის ამ საქორწინო წყვილის მეუღლეზე, ხოლო თუ ეს უკანასკნელი აღარ არის ცოცხალი, -მის შთამომავლებზე. თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში პაპები და ბებიები, რომლების წარმოადგენენ საქორწინო წყვილს, აღარ არიან ცოცხლები, ხოლო გარდაცვლილის შთამომავლები სახეზე არ არიან, მაშინ მემკვიდრეობას იღებენ მხოლოდ სხვა პაპები და ბებიები ან მათი შთამომავლები. რამდენადაც შთამომავლები იკავებენ მათი მშობლების ან ამ უკანასკნელების მშობლების ადგილს, გამოიყენება პირველი რიგით კანონით მემკვიდრეობის მიმართ მოქმედი ნორმები.

- პირი, ვინც სხვადასხვა ნათესაური ხაზით მიეკუთვნება პირველ, მეორე, ან მესამე რიგის მემკვიდრეს, თითოეულ აღნიშნულ ნათესაურ ხაზში იღებს თავის კუთვნილ წილს. თითოეული წილი ითვლება დამოუკიდებელ სამკვიდრო წილად.

-მეოთხე რიგის კანონით მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან მამკვიდრებლის დიდი პაპები და ბებიები და მათი შთამომავლები. თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში დიდი პაპები და ბებიები ცოცხლები არიან, მაშინ მემკვიდრეობას იღებენ მხოლოდ ისინი; რამდენიმე დიდი პაპა და ბებია მემკვიდრეობას იღებს თანაბარწილად მიუხედავად იმისა, მიეკუთვნებიან ისინი ერთიდაიგივე თუ სხვადასხვა ნათესაურ ხაზს. თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში დიდი პაპები და ბებიები აღარ არიან ცოცხლები, მაშინ მათი შთამომავლებიდან მემკვიდრეობას იღებს ის პირი, ვინც ნათესაური ხარისხის მიხედვით ყველაზე ახლო კავშირში იმყოფება მამკვიდრებელთან; რამდენიმე თანაბრად ახლო კავშირში მყოფი ნათესავი მემკვიდრეობას იღებს თანაბარწილად.

-მეხუთე და შემდგომი რიგის კანონით მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან მამკვიდრებლის შორეული წინაპრები და მათი შთამომავლები.

-მეუღლის კანონით მემკვიდრეობის უფლება: მამკვიდრებლის ცოცხლად დარჩენილი მეუღლე კანონით მემკვიდრის სახით მოიწვევა პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებთან ერთად სამკვიდროს მეოთხედი ნაწილის მისაღებად, მეორე რიგის კანონით მემკვიდრეებთან ან პაპებთან და ბებიებთან ერთად- სამკვიდროს ნახევრის მისაღებად. თუ ერთდროულად სახეზე არიან როგორც პაპები და ბებიები, ისე პაპებისა და ბებიების შთამომავლები, მაშინ მეუღლე ასევე იღებს წილს იმ მეორე ნახევრიდან, რომელიც უნდა გადასულიყო შთამომავლებზე. თუ სახეზე არ არიან არც პირველი ან მეორე რიგის მემკვიდრეები და არც პაპები და ბებიები, მაშინ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე იღებს მთლიან სამკვიდროს. თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში არსებობდა მეუღლეთა გაყოფილი ქონების რეჟიმი და ცოცხლად დარჩენილ მეუღლესთან ერთად კანონით მემკვიდრეების სახით მოიწვევა მამკვიდრებლის ერთი ან ორი შვილი, მაშინ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე და თითოეული შვილი მემკვიდრეობას იღებენ თანაბარწილად.³⁵

3.2 მემკვიდრეობა ანდერძით

ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც.³⁶

ანდერძი წარმოიშვა სპარსული სიტყვისგან, რომელიც ნიშნავს პირის უკანასკნელ ნება - სურვილს, მითითებას ან დანაბარებს. საქართველოში ვიდრე აღნიშნული ტერმინი დამკვიდრდებოდა მანამდე იგივე მნიშვნელობით გამოიყენებოდა ტერმინი „აღთქუმა“. მართალია, იგი უფრო მეტად ნიშნავდა პირთა შორის შეთანხმებას, თუმცა ანდერძის მნიშვნელობაც ჰქონდა.³⁷

³⁵ მთარგმნელი ზ.ჭეჭელაშვილი. (2010). *გერმანიის სამოქალაქო კოდექსი*. თბილისი: გამომცემლობა "სიესტა" გვ 337.

³⁶ *საქართველოს სამოქალაქო კოდექსი*. (1997). მუხლი 1344.

³⁷ ზ.ზოიძე. (2000). *ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი*. თბილისი.

ანდერძი წარმოადგენს მამკვიდრებლის ნების გამოხატვის აქტს, რომლითაც განსაზღვრავს სიკვდილის შემთხვევაში მისი ქონებრივი აქტივებისა და პასივების სხვა პირებისათვის გადაცემის წესს. ანდერძში ცხადაა გამოხატული მემკვიდრეთა თავისუფალი არჩევის შესაძლებლობა. მამკვიდრებელს თავისუფლად შეუძლია საკუთარი ქონება სიკვდილის შემდეგ დაუტოვოს ნებისმიერ პირს- იქნება იგი კანონით მემკვიდრეთა წრიდან თუ სრულიად უცხო. დაუშვებელია ვინმემ ზეგავლენა მოახდინოს მამკვიდრებლის შინაგან ნებაზე, რომლის გარეგანი გამოხატულება ანდერძში კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად უნდა მოხდეს. ანდერძის თავისუფლების პრინციპს უკეთ წარმოაჩენს ის ფაქტიც რომ მამკვიდრებელს ანდერძის გაუქმების უფლება აქვს ნებისმიერ დროს, ასევე მას შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვალოს იგი და სხვ. ნების ფართო შესაძლებლობების გამო ლიტერატურაში ანდერძს მამკვიდრებლის იმპერატიულ განკარგულებადაც მიიჩნევენ.³⁸

ანდერძი ყველა შემთხვევაში მამკვიდრებლის ნების გამოხატულებაა, სწორედ ამიტომ იგი მიიჩნევა გარიგებად. იმისდა მიუხედავად, რომ ნება წარმოადგენს ფსიქოლოგიურ კატეგორიას, ნების გამოვლენას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივად, რომ მას გარიგების სინონიმად მიიჩნევენ. ნების გამოვლენა უკავშირდება სამართლებრივი შედეგის დადგომას და იგი სამოქალაქო კანონმდებლობაში ძალზედ მნიშვნელოვანია. გამომდინარე იქედან, რომ ანდერძში გამოხატულია ერთი პირის ნება, იგი გახლავთ ცალმხრივი გარიგების ყველაზე გავრცელებული და ხშირი მაგალითი. როგორც წესი, თუკი ცალმხრივი გარიგების ერთი ჯგუფი ნების გამომვლენ პირისათვის წარმოშობს გარკვეულ სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის საფუძველს, მაგალითად, სამკვიდროს მიღებაზე თანხმობის გმოცხადება, მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ცალმხრივი გარიგებები, რომლებიც უპირატესობებს მესამე პირებს აკუთვნებენ. სწორედ ასეთ გარიგებებს მიეკუთვნება ანდერძი.³⁹

³⁸ რ.შენგელია. (2011). *მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი" გვ52.

³⁹ ლ.ჭანტურია. (2011). *სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი*. თბილისი: გამომცემლობა "სამართალი" გვ298.

საანდერძო ნორმების მიმოხილვისას საყურადღებოა სავალდებულო წილის საკითხი, რადგან იგი გარკვეულწილად ზღუდავს ანდერძის თავისუფლების პრინციპს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის თანახმად: მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რას თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა(სავალდებულო წილი).⁴⁰

ამ ნორმიდან გამომდინარე, სავალდებულო წილის მიღების უფლება გააჩნიათ მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს. მისი ოჯახის სხვა წევრები მსგავსი უფლებით არ სარგებლობენ. ამასთან განსაზღვრულია სავალდებულო წილის ოდენობა რომელიც უნდა იყოს იმ ქონების ნახევარი, რასაც აღნიშნული პირები მიიღებდნენ რომ არ ყოფილიყო ანდერძი. რაც შეეხება უღირს მემკვიდრეებს მათ არ აქვთ სავალდებულო წილის მიღების უფლება. მათ სრულიად, ჩამორთმეული აქვთ მემკვიდრეობის უფლება. შესაძლოა, მოანდერძემ ანდერძით მემკვიდრედ გაითვალისწინა მაგალითად, მეუღლე და სამკვიდრო ქონების ნაწილი დაუტოვა მას. მეუღლეს ნებისმიერ შემთხვევაში აქვს უფლება რომ მოითხოვოს მისთვის ანდერძით დატოვებული ქონების კუთვნილ სავალდებულო წილამდე გაზრდა. სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება კი მემკვიდრეს წარმოეშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. აღსანიშნავია რომ ასეთი მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით. რაც ნიშნავს იმას, რომ თუ სამკვიდროს გახსნის შემდეგ მემკვიდრე გარდაიცვალა და იგი ვერ მოასწრებს სავალდებულო წილის მიღებას, მაშინ მემკვიდრის მემკვიდრეებს წარმოეშობათ იმ სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება, რაც გარდაცვლილ მემკვიდრეს ერგებოდა. სავალდებულო წილის განსაზღვრის დროს აუცილებელია რომ მკაცრად იქნეს დაცული კანონით განსაზღვრული რამდენიმე მოთხოვნა. თავდაპირველად, უნდა გაირკვეს სამკვიდრო ქონების მთლიანი მოცულობა. რადგან მთელი სამკვიდრო ქონებაა სავალდებულო წილის განსაზღვრის საფუძველი და არა ანდერძში მითითებული ქონება. შესაბამისად, სავალდებულო წილი განსაზღვრულ უნდა იქნეს არა მარტო ანდერძში მითითებული, არამედ ანდერძს გარეთ დარჩენილი ქონებიდანაც. სამკვიდრო

⁴⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. (1997). მუხლი 1371.

ქონების მთლიან მოცულობაში უნდა ჩაირთოს ის ქონებაც, რომელიც გათვალისწინებულია საანდერძო დანაკისრის, ანუ სხვა პირის სასარგებლოდ რაიმე ვალდებულების ან საერთო-სასარგებლო მიზნით რაიმე მოქმედების შესასრულებლად.⁴¹

საინტერესოა, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ანდერძით მემკვიდრეობას ეხება, კერძოდ სავალდებულო წილის საკითხებს, ქართული სამემკვიდრეო სამართლის ნორმების ანალოგიურია. რომლის მიხედვითაც: თუ მამკვიდრებლის შთამომავალი საანდერძო განკარგულებით გამოირიცხება მემკვიდრეობიდან, მაშინ მას შეუძლია მემკვიდრისგან მოითხოვოს სავალდებულო წილი. სავალდებულო წილი შეადგენს კანონით მისაღები სამკვიდრო წილის ღირებულების ნახევარს. ანალოგიური უფლება ეკუთვნის მამკვიდრებლის მშობლებსა და მეუღლეს, თუ ისინი საანდერძო განკარგულებით გამოირიცხებიან მემკვიდრეობიდან.⁴²

თურქეთის კანონმდებლობით კი სამკვიდროს სავალდებულო წილი ერგება შემდეგ მემკვიდრეებს : ბავშვებს ერგება კანონიერი წილის ნახევარი. მშობლებს ერგება კანონიერი წილის მეოთხედი. ცოცხლად დარჩენილი მეუღლის შემთხვევაში ეს დამოკიდებულია სიტუაციაზე. თუ ცოცხლად დარჩენილმა მეუღლემ უნდა არჩინოს გარდაცვლილის შვილები ან მშობლები, ის მიიღებს კანონიერ წილს სრულად, სხვა შემთხვევაში სამ მეოთხედს.⁴³

საბერძნეთში მოქმედი კანონმდებლობით კი : სავალდებულო წილთან დაკავშირებული დებულებანი გაწერილია სამოქალაქო კოდექსის 1825-1838 მუხლებში.

საკუთარი ქონების თავისუფალი განკარგვა საკუთარი ნების თანახმად წარმოადგენს პიროვნების განვითარების თავისუფლების ნაწილს, რომელიც დაცულია კონსტიტუციით. ეს გაწერილია სამოქალაქო კოდექსში, რომელიც აწესებს

⁴¹ რ.შენგელია. (2011). *მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი" გვ86.

⁴² მთარგმნელი ზ.ჭეჭელაშვილი. (2010). *გერმანიის სამოქალაქო კოდექსი წიგნი 5, განყოფილება 5*. თბილისი: გამომცემლობა "სიესტა" .

⁴³ *თურქეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება*.

https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/turketi.pdf

ასევე რამოდენიმე შეზღუდვას, რათა დაცული იქნას უახლოესი ნათესავების უფლებები, რომლებიც გარდაცვლილის ოჯახს წარმოადგენენ. ეს შეზღუდვები შემოყვანილია კანონიერი წილის ცნების სახით, რომელიც წარმოადგენს უახლოვესი ნათესავებისადმი განკუთვნილი ქონების ნაწილს, გარდაცვლილის ნების მიუხედავად. თუკი “de cuius” (მამკვიდრებლის) შთამომავალი, მეუღლე, ცოცხლად დარჩენილი პარტნიორი (სამოქალაქო სოლიდარული პაქტის შემთხვევაში Pacs) და მშობლები არ ფიგურირებენ სამკვიდროს გადასვლაში, გარდაცვალებასთან დაკავშირებული აქტების მიხედვით (“mortis causa”), მათ აქვთ უფლება სავალდებულო წილზე (მუხლი 1825, სამოქალაქო კოდექსი).

სამოქალაქო კოდექსის 1825 მუხლის სათაური „სავალდებულო წილი“ გულისხმობს იმას, რომ გარდაცვლილის შთამომავლებს, მის დედ-მამას, ისევე როგორც ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს, რომლებიც “ab intestat” სამკვიდროს მემკვიდრეებად იქნებოდნენ დასახელებული, აქვთ უფლება სამკვიდროს კანონიერ სავალდებულო წილზე. იგივე უფლება გააჩნია როგორც ცოცხლად დარჩენილ პარტნიორს, სამოქალაქო სოლიდარული პაქტის შემთხვევაში (Pacs) (მუხლი 11, პ. 2, კანონი 3719/2008). კანონიერი წილი წარმოადგენს “ab intestat” სამკვიდრო ნაწილის ნახევარს. თუკი სავალდებულო წილით მემკვიდრე მიიღებს სავალდებულო წილზე ნაკლებს, მას აქვს უფლება განსხვავებაზე (მუხლი 1827, სამოქალაქო კოდექსი). სამკვიდროს გადასვლის მომენტში სავალდებულო წილით მემკვიდრე ცოცხალი ან თუნდაც ჩასახული უნდა იყოს. სავალდებულო წილით მემკვიდრის მინიმალური უფლება მაშინვე აღიქმება როგორც, გარდაცვლილის მატერიალურ ქონებაში მონაწილეობა. კანონიერი სავალდებულო წილის დასაანგარიშებლად, ათვლის წერტილად იღებენ სამკვიდროს მდგომარეობას და ღირებულებას „de cuius” გარდაცვალების მომენტში, მას შემდეგ რაც გამოიქვითა ვალები და დაკრძალვისა და საინვენტარიზაციო ხარჯები (მუხლი 1831, სამოქალაქო კოდექსი).

მეანდერძეს შეუძლია ჩამოართვას სამკვიდრო უფლება შთამომავალს, თუკი მან

- საფრთხე შეუქმნა მეანდერძის, მისი მეუღლის ან მეანდერძის სხვა შთამომავალის სიცოცხლეს.
- შეგნებულად დამნაშავეა უდიერ ფიზიკურ მოპყრობში მეანდერძის ან მისი მეუღლის (მისი მშობლის) მიმართ.

- შეგნებულად დამნაშავეა სასხლის სამართლის დანაშაულსა ან სერიოზულ დარღვევაში მეანდერძის თუ მისი მეუღლის წინააღმდეგ.
- განზრახ არ შეასრულა მისი კანონიერი საალიმენტო ვალდებულება მეანდერძის წინაშე.
- ან ეწევა არეულ და ამორალურ ცხოვრებას მეანდერძის ნების მიუხედავად. უკანასკნელი მოტივით სამკვიდრო უფლების ჩამორთმევა ბათილია, თუკი შთამომავალი მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის საბოლოოდ აღარ ეწევა არეულ და ამორალურ ცხოვრებას (მუხლი 1840, სამოქალაქო კოდექსი).

მეანდერძეს შეუძლია ჩამოართვას სამკვიდრო უფლება საკუთარ დედ-მამას იგივე მოტივებით, გარდა უკანასკნელისა. შესაძლებელია ასევე სამკვიდრო უფლება ჩამოერთვას მეუღლეს, თუკი ეს უკანასკნელი ბრალეულია რაიმე დანაშაულში, რის გამოც მეანდერძეს მის გარდაცვალების პერიოდში შეეძლო წამოეწყო განქორწინების პროცესი. საკუთარი უფლებები (მაგალითად ანდერძით დასახელებული მემკვიდრეების წინაშე და ა.შ.) და ვადები დაცული უნდა იქნას. მემკვიდრეს უფლება აქვს მოითხოვოს პირს, რომელიც სამკვიდრო უფლებით განკარგავს (რომლის ხელთ არის) სამკვიდროს კუთვნილ ნივთებს (სამკვიდროს მფლობელი), რომ მან აღიაროს მისი სამკვიდრო უფლება და დააბრუნოს სამკვიდრო ან მისი რომელიმე ნივთი (petition d'hérédité, სამკვიდრო პეტიცია, მუხლი 1871, სამოქალაქო კოდექსი). ამ პრეტენზიის ხანდაზმულობის ვადა 20 წელიწადია (მუხლი 249, სამოქალაქო კოდექსი). ასევე, სამოქალაქო კოდექსის 1826, 1827 და 1829 მუხლების თანახმად, თუკი სავალდებულო წილით მემკვიდრეს კანონიერად ჩამოერთვა სამკვიდრო უფლება, მთლიანად თუ ნაწილობრივ, ან თუ მან უარი განაცხადა კანონიერ სავალდებულო წილზე, ან მას ჩამოერთვა ეს უფლება უღირსი საქციელის გამო, კანონიერი სავალდებულო წილის უფლება გადადის კანონიერი სავალდებულო წილით მემკვიდრეებზე, “ab intestat“ მემკვიდრეობითი რიგითობის მიხედვით. თუკი სავალდებულო წილით მემკვიდრეს გადაეცა კანონიერ სავალდებულო წილზე ნაკლები ნაწილი, მას უფლება აქვს ამ დაკლებულ ნაწილზე. ანდერძიდან გამომდინარე ნებისმიერი შეზღუდვა, სავალდებულო წილით მემკვიდრის საზიანოდ არ არის მოქმედი, რამეთუ აზარალებს სავალდებულო წილს. სავალდებულო წილით მემკვიდრეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს. სავალდებულო წილს კარგად

იცავს კანონმდებელი, რომელიც თვლის, რომ გარდაცვლილის სიცოცხლეში განხორციელებული ჩუქება, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას სამკვიდროს გადაანგარიშებაში, გაუქმებულ უნდა იქნას, ვინაიდან „de cuius” გარდაცვალების პერიოდში არსებული სამკვიდრო არ არის საკმარისი სავალდებულო წილის დასაფარად. თანმიმდევრული ჩუქების შემთხვევაში, მიმართავენ წინა ჩუქებას, როდესაც შემდგომი ჩუქების გაუქმება არ არის საკმარისი (მუხლი 1835, სამოქალაქო კოდექსი). ბერძნულ სამართალში სავალდებულო წილი წარმოადგენს სამკვიდროში რეალურ (პირდაპირ) მონაწილეობას. მემკვიდრე, რომელსაც გააჩნია უფლება სავალდებულო წილზე არის თანამემკვიდრე კანონის ძალით. სავალდებულო წილის ნებისმიერი შეზღუდვა გამომდინარე გარდაცვალებასთან დაკავშირებული აქტიდან (“mortis causa” დებულებიდან), (disposition de cause de mort) ბათილია (მუხლი 1829, სამოქალაქო კოდექსი). შესაძლებელია სავალდებულო წილი ანაზღაურდეს სიცოცხლის პერიოდში ჩუქებიდან (მუხლი 1833, სამოქალაქო კოდექსი). ბერძენი „de cuius” , რომელიც მინიმუმ 25 წელი უწყვეტლივ უცხოეთში ცხოვრობდა, არ ექვემდებარება ბერძნული დებულებების შეზღუდვებს სავალდებულო წილით მემკვიდრეების შესახებ. 1738/1978 კანონის 21 მუხლის თანახმად, საბერძნეთის მოქალაქეები, რომლებიც მინიმუმ 25 წელი უწყვეტლივ უცხოეთში ცხოვრობდნენ სიკვდილამდე, არ ექვემდებარებიან ბერძნული კანონის დებულებებს სავალდებულო წილის და სავალდებულო წილით მემკვიდრეების შესახებ, რაც შეეხება (“mortis causa” დებულებას) მათ უკანასკნელი ნების გამომხატელ აქტებს “mortis causa” დებულებას (disposition de cause de mort) უცხოეთში მდებარე ქონების თაობაზე. თუ ეს უკანასკნელი პირობა სახეზეა, შეუსაბამობა სავალდებულო წილისა და სავალდებულო წილით მემკვიდრეების შესახებ დებულებებთან არ მოქმედებს ანდერძების და (“mortis causa” დებულების) გარდაცვალებასთან დაკავშირებულ სხვა აქტების ნამდვილობაზე, უცხოეთში მდებარე ქონების ჭრილში. ზოგადად, სამკვიდროზე ნაადრევი უარის თქმა და სავალდებულო წილზე ნაადრევი უარის თქმა მიუღებელია. მხილოდ სხვადასხვა ეროვნების წყვილის (ან პარტნიორების) შემთხვევაში უცხოელ მეუღლეს (თუ ის უცხოეთში ცხოვრობს კონტრაქტის შედგენისას) შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ, უსასყიდლოდ ან გადახდის მეშვეობით უარი თქვას მემკვიდრეობაზე, რომელიც მას ეკუთვნის ბერძნული

კანონმდებლობის თანახმად (მუხლი 1, ბრძანებულება 472/1974 – „ონასისი კანონი“ „Loi Onassis“).⁴⁴

„ამერიკაში სამემკვიდრეო სამართალი განსაზღვრავს მემკვიდრეების მიერ თავიანთი წილის აქტივებში მიღების წესს, ისინი განსაზღვრავენ თუ რომელ მემკვიდრეს აქვს კანონიერი უფლება მიიღოს მემკვიდრეობა იმ შემთხვევაში თუ ისინი არ არიან გათვალისწინებულნი ანდერძის პირობებში. თითოეული შტატი ამ შემთხვევაში იყენებს „საზოგადოების საკუთრების მიდგომას“ ან „საერთო სამართლის მიდგომას“ - რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქონების დაყოფის გზებსა და იმას თუ ოჯახის რომელ წევრს აქვს თავიანთი წილის მოთხოვნის უფლება.

ამერიკაში ჯერ კიდევ არ არსებობს იურიდიული ნორმა, სადაც ნათქვამია რომ შვილიშვილებს უფლება აქვთ მიიღონ მემკვიდრეობა. აშშ-ს ზოგიერთ შტატში, თუ შვილიშვილის მშობელი გარდაიცვალა, შვილიშვილს შეიძლება ჰქონდეს კანონიერი უფლება მიიღოს მემკვიდრეობა ბეისგან/ბაბუისგან თუ ანდერძი არ გამოხატავს შვილიშვილის განზრახ სამკვიდროს გარეშე დატოვებას.“⁴⁵

4. სამკვიდროს მიღების საშუალებანი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-მუხლის თანახმად: „მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს

⁴⁴ საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება.

https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elegtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf

⁴⁵ Amy Baker - Article. (2019). *USA inheritance laws*.

ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი.⁴⁶

შესაბამისად ქართულ კანონმდებლობაში სამკვიდროს მიღების ორი ფორმაა წარმოდგენილი, პირველი გულისხმობს განცხადების წარდგენას შესაბამის ორგანოში, ხოლო მეორე კი სამკვიდრებლის მიერ დატოვებული სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღებას.

სამკვიდროს მიღების უფლება შეიძლება განხორციელდეს ორ შემთხვევაში: პირველი როდესაც მემკვიდრეს ნების პირდაპირი გამოვლენის საფუძველზე, სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეაქვს განცხადება სამკვიდროს მიღების თაობაზე. მეორე შემთხვევაში კი კონკლუდენტური მოქმედებებით, რომლითაც დასტურდება მემკვიდრის სურვილი სამკვიდროს მიღების შესახებ. ასეთ მოქმედებად ჩაითვლება როდესაც მემკვიდრე შეუდგება ქონების ფლობას ან მართვას, რომლითაც სარგებლობდა სამკვიდრებელთან ერთად მის სიცოცხლეში. აღნიშნული ქმედება კი უდაოდ ადასტურებს სამკვიდროს მიღების ფაქტს.⁴⁷

4.1 სანოტარო ორგანოში განცხადების წარდგენა

როგორც სამოქალაქო სამართლის ნორმები განამტკიცებენ, იმისათვის რომ სამკვიდრო ქონება მიღებულად ჩაითვალოს აუცილებელია მემკვიდრემ სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის ვადაში სანოტარო ორგანოში შეიტანოს განცხადება სამკვიდროს მიღების თაობაზე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კი ნოტარიუსი უფლებამოსილია გასცეს სამკვიდრო მოწმობა. ნოტარიუსი სამემკვიდრეო საქმისწარმოების დროს მოქმედებს სამემკვიდრეო საქმისწარმოების წესების

⁴⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. (1997). მუხლი 1421.

⁴⁷ რ.შენგელია. (2011). *მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი" გვ-146.

შესაბამისად, რომელიც გაწერილია სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციაში. ინსტრუქციის 78-ე მუხლის მიხედვით:

1. სამკვიდროს მიღების (სამკვიდრო მოწმობის გაცემის), ან სამკვიდროს მიღებაზე უარის, ან სამკვიდროსთან დაკავშირებული სხვა შინაარსის შესახებ განცხადება შეიძლება შედგეს საჯარო ან კერძო აქტის ფორმით.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული განცხადება შეიძლება წარედგინოს ნებისმიერ ნოტარიუსს. განმცხადებელი ვალდებულია ნოტარიუსს წარუდგინოს მამკვიდრებლის გარდაცვალების მოწმობა. გარდაცვალების მოწმობის წარდგენა არ არის აუცილებელი, თუ ნოტარიუსთან უკვე ინახება იგი ან სამემკვიდრეო საქმეთა ერთიან რეესტრში უკვე რეგისტრირებულია მამკვიდრებლის სამკვიდროს გახსნის ფაქტი სხვა ნოტარიუსის მიერ ან შესაძლებელია პირის გარდაცვალების ფაქტის დადასტურება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზიდან.
3. ნოტარიუსი, რომელიც მიიღებს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ განცხადებას, ვალდებულია განცხადების მიღება დაუყოვნებლივ დაარეგისტრიროს სამემკვიდრეო საქმეთა ერთიან რეესტრში.
4. ნოტარიუსი, მიუხედავად სამკვიდროს გახსნის ადგილისა, უფლებამოსილია, კერძო ან საჯარო აქტის ფორმით დაამოწმოს ნებისმიერი პირის განცხადება, რომლითაც პირი ადასტურებს/აცხადებს, რომ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის განმავლობაში მას არც ერთი ფორმით არ მიუღია სამკვიდრო (არც განცხადების სანოტარო ბიუროში წარდგენით, არც სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით, ან მართვით). განცხადება სამკვიდროს მიუღებლობის ფაქტის დადასტურების შესახებ შეიძლება შედგეს ნებისმიერ დროს. ამასთან, ნოტარიუსის მიერ სამკვიდროს მიუღებლობის ფაქტის დადასტურების შესახებ განცხადების დამოწმება არ ნიშნავს სამკვიდრო საქმის წარმოების დაწყებას. აღნიშნული სანოტარო მოქმედება ექვემდებარება რეგისტრაციას სამემკვიდრეო საქმეთა ერთიან რეესტრში. ამასთან, შესაძლებელია სამემკვიდრეო საქმეთა ერთიან რეესტრში შეტანილ იქნეს განმცხადებლის მიერ მითითებული მონაცემები მამკვიდრებლის შესახებ.
5. არ დაიშვება ერთი და იმავე მამკვიდრებლის სამემკვიდრეო საქმის წარმოება რამდენიმე სანოტარო ბიუროში, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით

გათვალისწინებული შემთხვევისა. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ იმავე მამკვიდრებლის სამკვიდროსთან დაკავშირებული განცხადებები წარდგენილია სხვადასხვა ნოტარიუსთან, სამემკვიდრეო საქმისწარმოება უნდა გაერთიანდეს და უნდა გადაეცეს იმ ნოტარიუსს, რომელმაც ყველაზე ადრე მიიღო განცხადება. ნოტარიუსი ვალდებულია უზრუნველყოს მის მიერ მიღებული განცხადების და სამემკვიდრეო საქმის წარმოებასთან დაკავშირებით მასთან წარდგენილი სხვა დოკუმენტების ელექტრონული ასლების გადაგზავნა იმ ნოტარიუსთან, რომელიც უფლებამოსილია აწარმოოს სამკვიდრო საქმე.⁴⁸

4.2 სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა

კანონმდებლობით განმტკიცებულ სამკვიდროს მიღების მეორე ფორმას წარმოადგენს სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლება.

სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლება არის მემკვიდრის დასტური იმისა, რომ მას სურს მიიღოს სამკვიდრო ქონება. აღნიშნული მოქმედების გამომხატველია ის ფაქტი რომ მემკვიდრე შეუდგება იმ ქონების ფლობას ან მართვას, რომლითაც სარგებლობდა მამკვიდრებელთან ერთად მის სიცოცხლეში. ქონების ფაქტობრივ ფლობაში უმეტესწილად ნაგულისხმებია ის საცხოვრებელი სახლი, სადაც მემკვიდრე ცხოვრობდა მამკვიდრებელთან ერთად. აგრეთვე სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობაა, როდესაც მემკვიდრე მამკვიდრებლის ნივთებს გადაიტანს თავის საცხოვრებელ ადგილზე, შეინახავს ფასიან ქაღალდებს და სხვ. აღსანიშნავია ისეთი გარემოება როცა, შესაძლოა მემკვიდრე არ ფლობდეს მამკვიდრებლის ქონებას, მაგრამ მისი ქმედებებიდან დასტურდებოდეს რომ მას თავისად მიიჩნევს- მაგალითად: იხდიდეს ქონების გადასახადს, განკარგავდეს ამ ქონებიდან მიღებულ შემოსავალს და ა.შ

⁴⁸ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქცია. (31.03.2010). საქართველოს მინისტრის ბრძანება #71. მუხლი 78.

სამკვიდროს მიღების აქტი უნივერსალური ხასიათისაა, რომელიც ვრცელდება მთლიან სამკვიდრო ქონებაზე, რაშიც არ უნდა იყოს გამოხატული და სადაც არ უნდა იყოს იგი. იმ შემთხვევაში, როცა სამკვიდრო ქონება სხვადასხვა ადგილასა იმყოფება, სამკვიდროდ გახსნის ადგილის მიხედვით სამკვიდროს მიღება ნიშნავს სხვაგან მყოფი ქონების მიღებასაც. სამკვიდროს მიღების დროს მემკვიდრემ შესაძლოა სულაც არ იცოდეს სამკვიდრო ქონების ზუსტი შემადგენლობა, აქედან გამომდინარე როცა მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ჩაითვლება რომ მან სამკვიდრო მთლიანად მიიღო.⁴⁹

სამკვიდროს მიღების უმნიშვნელოვანესი პირობაა სამკვიდროს მიღების ვადის დაცვა, რომელიც სამკვიდროს მიღების ორივე ფორმისთვის სავალდებულოა, იქნება ეს სანოტარო ორგანოში განცხადების წარდგენა თუ სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობა ან მართვა.

სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის თანახმად: „სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან“⁵⁰ - სწორედ აღნიშნული ვადის დაცვით, ანუ მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვსი თვის გასვლამდე უნდა განახორციელოს მემკვიდრემ ის მოქმედებები, რაც დაადასტურებს მის მიერ სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობის ან მართვის ფაქტს.

იმ შემთხვევაში თუ მემკვიდრე აღნიშნული ექვსი თვის ვადაში არ მიიღებს სამკვიდროს, იგი კარგავს მისი მიღების უფლებას. კანონმდებლობით დადგენილი სამკვიდროს მიღების ვადა წარმოადგენს პრეკლუზიურ ვადას, რომლის გაშვებაც წყვეტს სამკვიდროს მიღების თვით უფლებას, სწორედ ეს განასხვავებს მას სასარჩელო ხანდაზმულობის ვადისგან, რომლის გასვლის დროს არა კონკრეტული უფლება, არამედ მისი იძულებითი დაცვის შესაძლებლობა ისპობა. სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება დასაშვებია თუ არსებობს საპატიო მიზეზი ან ობიექტური გარემოება, რომელიც შეიძლება გახდეს სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების საფუძველი, აღნიშნული ვადის გაგრძელება კი მხოლოდ სასამართლოს

⁴⁹ რ.შენგელია. (2011). *მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი" გვ-146-147.

⁵⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. (1997). მუხლი 1424.

პრეროგატივაა. თუ ვადის გაშვებას არასაკატიოდ ჩათვლის სასამართლო, ამ შემთხვევაში არ განიხილება არც მემკვიდრედ ცნობის საკითხიც, რადგან ვადის გასვლის დროს წყდება სამკვიდროს მიღების უფლებაც. სასამართლოს მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების დროს ვადის გამშვებ მემკვიდრეს მისი წილი ქონებიდან ნატურის სახით მიეცემა რაც შენარჩუნებულია, დარჩენილი ნაწილი კი აუნაზღაურდება ღირებულების ოდენობით. სხვა მემკვიდრეები, რომელთა მფლობელობა ითვლება მართლზომიერად ვალდებულნი არ არიან ვადის გამშვებ მემკვიდრეს ქონებასთან ერთად დაუბრუნონ შემოსავალი, რომელიც მიიღეს ქონებიდან მართლზომიერი მფლობელობის განმავლობაში. ამასთან სამოქალაქო კოდექსის 1428-ე მუხლი განამტკიცებს სამკვიდროს მიღების გაშვებული ვადის აღდგენის დროს სამკვიდრო ქონების ადრინდელი მფლობელების ვალდებულებებისგან განთავისუფლების საფუძვლებს სადაც საუბარია შემთხვევებზე როდესაც: 1. კანონით მემკვიდრე, რომელიც შეუდგა სამკვიდროს ფლობას არ იცოდა ანდერძის არსებობის შესახებ, ანდერძით კი მამკვიდრებელმა ქონება სხვას დაუტოვა; 2. ანდერძით მემკვიდრემ, რომელმაც სამკვიდრო მიიღო არ იცოდა ანდერძის ბათილობის საფუძვლების არსებობის შესახებ, ეს საფუძვლები კი შემდეგ ანდერძის გაბათილების მიზეზი გახდა; 3. კანონით მემკვიდრემ არ იცოდა წინა რიგის მემკვიდრის არსებობის შესახებ და შეუდგა სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობას. რომლის შემდეგ აღმოჩნდა რომ თავად მეორე რიგის მემკვიდრე ყოფილა; 4. ანდერძით მემკვიდრემ არ იცოდა სხვა ანდერძის არსებობის შესახებ, სამკვიდროს მიღების შემდეგ კი აღმოჩნდა სხვა ახალი ანდერძი რომლითაც გაუქმებული იყო მისი მემკვიდრეობა. ხსენებულ შემთხვევებში, სამკვიდრო ქონების ადრინდელ მფლობელებს უფლება აქვთ დაიტოვონ შემოსავალი, რაც სამკვიდროდან მიიღეს სარჩელის აღძვრამდე, ასევე მათ უფლება აქვთ მოითხოვონ მთელი კაპიტალი, რაც სამკვიდროში დააბანდეს.⁵¹

⁵¹ რ.შენგელია. (2011). *მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა)*. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი" გვ 150-151.

5 სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დადგენით წარმოშობილი პრობლემანი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მემკვიდრის მიერ დატოვებული სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა წარმოადგენს სამკვიდროს მიღების იმ ფორმას, რომლითაც უდაოდ დასტურდება სამკვიდროს მიღება. სწორედ ფაქტობრივი ფლობიდან გამომდინარეობს ფაქტობრივი ფლობის დადგენით წარმოშობილი პრობლემები.

სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დადგენა უპირველესად ნოტარიუსის პრეროგატივაა. ნოტარიუსი ხელმძღვანელობს სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 85-ე მუხლით, სადაც გაწერილია ის გარემოებები ან/და დოკუმენტები, რომლითაც შეიძლება დადგინდეს სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი. თუმცა სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დადგენა შეუძლია სასამართლოს თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, რომელიც ადგენს ან უარყოფს სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტს. აღნიშნული ხორციელდება უდავო წარმოების წესით, იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებით.

5.1 სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დადგენა ნოტარიუსის მიერ

სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების კანონით დადგენილ ვადებში წარდგენა სანოტარო ორგანოში ყველაზე მარტივი გამოსავალია, როგორც მამკვიდრებლისთვის, ასევე ნოტარიუსებისთვისაც, თუმცა საზოგადოების ნაკლებად ინფორმირებულობისა თუ სხვადასხვა მიზეზთა გამო, საჭირო ხდება სამკვიდრო ქონებაზე ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დადასტურება. შესაბამისად, თუ მემკვიდრე არ მიმართავს ნოტარიუსს განცხადებით სამკვიდროს გახსნიდან კანონმდებლობით დადგენილ ექვსი თვის ვადაში, აღნიშნული ვადის გაშვების შემდგომ მოუწევს მტკიცება, რომ სამკვიდრო მიღებული აქვს ფაქტობრივი ფლობით. ხსენებულის დასამტკიცებლად კი იგი ვალდებულია ნოტარიუსს წარუდგინოს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს ფაქტობრივი ფლობის ფაქტს.

სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 85-ე მუხლის შესაბამისად, რომლითაც ნოტარიუსი ხელმძღვანელობს ფაქტობრივი ფლობის დადგენის საკითხში მემკვიდრეებს მოეთხოვებათ იმ დოკუმენტაციის წარდგენა რომლითაც შეიძლება დადგინდეს სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი. აღნიშნული მუხლის თანახმად:

„1. სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი შეიძლება დადგინდეს შემდეგი გარემოებებითა და/ან დოკუმენტებით:

ა) იმ ფაქტით, რომ მამკვიდრებელსა და მემკვიდრეს სამკვიდროს გახსნიდან სამკვიდროს მიღების ვადის ამოწურვამდე დროის თუნდაც მცირე მონაკვეთში ჰქონდა ერთი და იგივე რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი. ამასთანავე, ეს ნორმა მოქმედებს მიუხედავად იმისა, რა უფლებრივი მიმართება ჰქონდა მამკვიდრებელს ან რა უფლებრივი მიმართება აქვს მემკვიდრეს იმ ბინის/სახლის მიმართ, რომელშიც იყვნენ ისინი რეგისტრირებულნი. ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ მემკვიდრე ფაქტობრივად დაეუფლა სამკვიდრო მასაში შემავალ მოძრავ ნივთებს ან სამკვიდრო მასაში შემავალ ბინას/საცხოვრებელ სახლს, რომელშიც ამ ქვეპუნქტის პირველ წინადადებაში მითითებულ დროის მონაკვეთში რეგისტრირებულნი იყვნენ მემკვიდრე და მამკვიდრებელი.

ბ) მამკვიდრებლის კუთვნილი იმ დოკუმენტების ფაქტობრივად ფლობა, რომელიც ადასტურებს სამკვიდრო მასაში სატრანსპორტო საშუალების, საბანკო ანგარიშზე თანხის, სახეობითი აქციის არსებობას;

გ) საგადასახადო ორგანოს ცნობა, სადაზღვევო კომპანიის ცნობა, ბანკის ცნობა იმის შესახებ, რომ მემკვიდრემ შეასრულა მამკვიდრებლის შეუსრულებელი საგადასახადო და/ან სახელშეკრულებო ვალდებულებები, ან მემკვიდრემ გადაიხადა სამკვიდრო მასაში შემავალ ქონებასთან დაკავშირებული გადასახადები (მაგალითად, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი) და/ან სადაზღვევო შენატანები. ამათანავე, ეს ვალდებულებები შესრულებული უნდა იყოს სამკვიდროს მიღების ვადაში.

დ) კომუნალური მომსახურების გადასახადების დამადასტურებელი ცნობები, ან ქვითრები, თუ შესაძლებელია მათში მითითებული გადამხდელის იდენტიფიკაცია;

დ1) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ გაცემული დოკუმენტი კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების

ფლობის ან სარგებლობის შესახებ, აგრეთვე ორდერი, სადაც ორდერში შეტანილ პირებში მითითებულია როგორც მამკვიდრებელი, ისე მემკვიდრე.

ე) სხვა საჯარო დოკუმენტები.

2. ნოტარიუსი უფლებამოსილია მემკვიდრეს მოსთხოვოს საჯარო განცხადების გამოქვეყნება ამ ინსტრუქციის 87-ე მუხლით დადგენილი წესით.

იმისდა მიუხედავად რომ ხსნებული ნორმა განმარტავს თუ რა გარემოებების ან/და დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს ფაქტობრივი ფლობა მემკვიდრეები პრაქტიკაში მაინც აწყდებიან გაუგებრობებსა და პრობლემებს სამკვიდროს მიღების მცდელობის დროს.

„სამკვიდრო მოწმობის გაცემა და პირის მემკვიდრედ ცნობა დაკავშირებულია გარკვეულ პრობლემებთან. გარდა მემკვიდრესთან ნათესაური კავშირის დადგენისა, საჭიროა დადგინდეს მიიღო თუ არა მემკვიდრემ სამკვიდრო კანონით დადგენილი წესით. თუ მემკვიდრემ განცხადებით მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს მიღებისათვის კანონით დადგენილ ვადაში, პრობლემა მარტივად მოგვარებადია, ხოლო თუ მემკვიდრეს არ მიუმართავს ნოტარიუსისთვის სამკვიდროს გახსნიდან კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში განცხადებით, და სამკვიდრო მოწმობის მიღება სამკვიდრო ქონების დაკანონების მიზნით გადაწყვიტა ამ ვადის გასვლის შემდეგ, იგი ვალდებულია ამტყობოს, რომ სამკვიდრო მან მიიღო კანონით დადგენილი მეორე გზით - სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით. ამის დასამტკიცებლად კი მან ნოტარიუსს უნდა წარუდგინოს ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ძნელია კანონმა ან რომელიმე ნორმატიულმა აქტმა ასეთი დოკუმენტების ნუსხა ამომწურავად განსაზღვროს. ინსტრუქციის ამ ნორმაში შეძლებისდაგვარად ჩამოთვლილია ასეთი დოკუმენტების ნუსხა, რომელიც ეყრდნობა სანოტარო პრაქტიკას, რაც დრო გადის, იცვლება დაწესებულებების სახეები და კომპეტენციები, რომელთა ფუნქცია იქნებოდა მსგავსი ფაქტების დადასტურება და შესაბამისი დოკუმენტების გაცემა, რაც თანდათან უფრო და უფრო ართულებს სამკვიდრო მოწმობის გაცემას სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

ყოველი სამკვიდრო საქმე ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს და ძნელია ერთიანი სტანდარტის დადგენა, თუმცა გამოსავალი ყოველთვის შეიძლება მოიძებნოს. დამკვიდრებული პრაქტიკით სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის კლასიკური მაგალითებია მამკვიდრებლის და მემკვიდრის ერთ მისამართზე რეგისტრაცია სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის. ასევე მამკვიდრებლის რეგისტრაცია სამკვიდრო მასაში შემაჯალ უძრავ ქონებაში. ინსტრუქციის თანახმად მნიშვნელობა არ აქვს რა უფლებრივი მიმართება აქვს ან ქონდა მემკვიდრეს იმ ქონების მიმართ რომელშიც არის ან იყო რეგისტრირებული სამკვიდროს მიღებისათვის კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში დროის თუნდაც მცირე მონაკვეთში.

ამ ფაქტების დადგენა შესაძლებელია სხვადასახვა დოკუმენტის საშუალებით. ასეთი შეიძლება იყოს სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათები, სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომია ნოტარიუსისთვის .

სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დადგენა შესაძლებელია საბინაო წიგნის ჩანაწერების გამოყენებით. ცნობილია რომ დღეისათვის საბინაო წიგნის მოქმედება შეწყვეტილია, მაგრამ არის შემთხვევა, როცა ძველი ინფორმაციების მოპოვება შეუძლებელია სამოქალაო რეესტრის ბაზის საშუალებით, იმიტომ რომ რეესტრს არ გადასცემია ყოფილი საინფორმაციო სამისამართო ბიუროს მონაცემთა სრული ბაზა, ან უბრალოდ ეს მონაცემები არ დამუშავებულა სრულყოფილად და არ არის შეტანილი სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში, ამიტომ ხშირად შეუძლებელია 1940-1980-1990 და ზოგჯერ უფრო აქეთ პერიოდის საინფორმაციო მონაცემები პირის რეგისტრაციის შესახებ, ასეთ დროს საჭირო ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ საბინაო წიგნის საშუალებით, სადაც თითოეული რეგისტრაციის შესახებ ჩანაწერი დადასტურებულია სპეციალური შტამპით. (ამ ინფორმაციებს ასევე იყენებს სასამართლოებიც).

ცალკეულ შემთხვევებში პირის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ასევე შესაძლებელია საბჭოთა პერიოდის პასპორტებით, თუკი ასეთი ხელზე აქვს

პირს- მემკვიდრეს. იქაც ჩაწერის შესახებ ინფორმაცია დადასტურებულია შსს ორგანოების შტამპით.

განსაკუთრებით რთულია სოფლად მცხოვრები პირების საცხოვრებელი ადგილის დადასტურება. სოფელი არ არის დაყოფილი ქუჩებად და არ არის დანომრილი ბინები, რის გამოც ძნელია დაადგინო მემკვიდრე და მამკვიდრებელი ერთ მისამართზე არიან თუ არა რეგისტრირებული, ასეთ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი არის სოფლის თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელის (მნიშვნელობა არ აქვს მის თანამდებობრივ წოდებას) მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ადასტურებს პირის (მემკვიდრის) მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტს. იგულისხმება, რომ აღნიშნული პირები იცნობენ თვითეულ ოჯახს და თუ პირის გარდაცვალების დღიდან მისი კუთვნილი ქონება უპატრონოდ არ არის მიტოვებული და არც ხაზინას გამოუთქვამს პრეტენზია სამკვიდროს შესახებ, იგი ფაქტობრივად მიღებული აქვს მემკვიდრეს, რომელიც ზრუნავს და უვლის ქონებას, იხდის გადასახედებს, ამუშავებს მიწის ნაკვეთს და სხვა. თვითმმართველი ორგანოების მიერ გაცემულ ცნობებს ასევე აქტიურად იყენებს სასამართლო პირის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივად მიღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. თუმცა ბოლო პერიოდში გართულდა ასეთი ცნობების გაცემა, რაც უკავშირდება კანონს თვითმმართველი ერთეულის შესახებ, რომელმაც აღარ გაითვალისწინა მსგავსი დოკუმენტების გაცემის უფლებამოსილება ტერიტორიულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის კომპეტენციებში.”⁵²

აქედან გამომდინარე, ნოტარიუსები ვეღარ გასცემდნენ სამკვიდრო მოწმობებს, ვიდრე აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით არ შეიმუშავეს რეკომენდაცია „ ფაქტიური ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტების თაობაზე“ რომლის მიხედვითაც:

„2014 წლის 5 თებერვალს მიღებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომლის 166-ე მუხლითაც 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან

⁵² სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ კომენტარები. *მუხლი 85, ნოტარიუსი ნ.სიდამონიძე.*

ძალადაკარგულად გამოცხადდა რიგი საკანონმდებლო აქტები, მათ შორის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.

როგორც მოგეხსენებათ, ძალადაკარგული ორგანული კანონის თანახმად, რწმუნებულის ვალდებულებაში შედიოდა მუნიციპალიტეტის შესაბამის დასახლებაში უძრავ ნივთზე ფიზიკურ პირთა უფლებების რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამგებლისადმი (მერისადმი) წარდგენა. აღნიშნული კომპეტენციიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 85- ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტის დამდგენ დოკუმენტთა შორის გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ გაცემული დოკუმენტი კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ.

2014 წლის 5 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილების შედეგად მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი არ ითვალისწინებს კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა უძრავი ქონების ფლობის/სარგებლობის შესახებ ინფორმაციის დამუშავებას, რაც გამორიცხავს „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მითითებული ნორმით გათვალისწინებული ცნობების გაცემას.

გამომდინარე აღნიშნულიდან, რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობის სანაცვლოდ, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მიღებამდე, ნოტარიუსი უფლებამოსილია, ფაქტობრივი ფლობის დამდგენ ერთ-ერთ დოკუმენტად მიიღოს ქალაქის, რაიონის, სოფლის, თემის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ ინფორმაცია.⁵³

შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე ნოტარიუსები ადგენენ ფაქტობრივი ფლობის ფაქტს ქალაქის, რაიონის, სოფლის, თემის უფლებამოსილი

⁵³ რეკომენდაცია ფაქტიური ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტების თაობაზე.
<http://notary.cloud.gov.ge/res/docs/shida/menu/rekomendatsia-31-10-2014.pdf>

წარმომადგენლის მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე. მინდა ყურადღება გავამახვილო რომ ამ შემთხვევაში ნოტარიუსებს მნიშვნელოვნად დაეხმარებოდათ მათთვის მოწმეთა მიერ ახსნა-განმარტებების უფლებების მინიჭება, აღნიშნული ხელს შეუწყობდა ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დადგენის პროცედურის გამარტივებას.

„სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დადასტურება შესაძლებელია ასევე მამკვიდრებლის კუთვნილი დოკუმენტების ფაქტობრივი ფლობით, რომლებიც ადასტურებენ სამკვიდრო მასაში შემავალი სატრანსპორტო საშუალების, საბანკო ანგარიშზე თანხის არსებობის (ანაბრის წიგნაკი, თუნდაც ძველი შემნახველი სალაროს წიგნაკი, საანაბრე ან ჩვეულებრივი საბანკო ანგარიშის გახსნის შესახებ ხელშეკრულება და სხვა), სახეობითი აქციის ფლობით და სხვა. ასეთი დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში საჭიროა დოკუმენტების ასლები დაერთოს სამკვიდრო საქმეს. აქვე უნდა აღინიშნოს რომ საკმარისი არ არის ბანკის ანაბრის დამადასტურებელი წიგნაკის თავფურცელის საქმეში შენახვა, საჭიროა სამკვიდროს საქმეს ერთვოდეს დოკუმენტის იმ ნაწილის ასლებიც, რაც ადასტურებს ანგარიშზე თანხის არსებობას.

სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დადგენა შესაძლებელია ასევე ბანკის მიერ გაცემული ცნობით პირის მიერ გარდაცვლილის მიუღებელი პენსიის მიღების შესახებ. ცნობილია, რომ პირველი რიგის მემკვიდრეები საპენსიო დებულების თანახმად გარდაცვლილის პენსიას იღებენ სამკვიდრო მოწმობის წარდგენის გარეშე, მხოლოდ ნათესაური კავშირის დამდგენი დოკუმენტების წარდგენით, სახელმწიფო პენსიის შესახებ, საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად პენსია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხის მისარებად მიმართეს გარდაცვალების დღიდან არაუგვიანეს ერთი წლისა. სამოქალაქო კოდექსის 1421 მუხლი განმარტავს, რომ თუ მემკვიდრემ მიიღო სამკვიდროს ნაწილი, ითვლება რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი. გამომდინარე აქედან, თუ მემკვიდრემ მიიღო გარდაცვლილის პენსია, მან ფაქტობრივად მიიღო მთელი სამკვიდრო.

სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დადგენა შესაძლებელია საკომლო წიგნის ჩანაწერებით კომლის წევრთა შემადგენლობის შესახებ. როგორც ცნობილია კომლის ქონებაზე სამკვიდრო არ იხსნება, თუ მემკვიდრე კომლის წევრია, მაგრამ კომლის გარეთ არსებული ქონებაზე, რომელიც მამკვიდრებლის სახელზეა რეგისტრირებული, სამკვიდრო მოწმობის გასაცემად შესაძლებელია გამოვიყენოთ საკომლო წიგნის ჩანაწერებიც თუ სამკვიდრო გაიხსნა საკომლო წიგნის მოქმედების პერიოდში 2006 წლამდე.

სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დადგენა შესაძლებელია იმ დოკუმენტების წარდგენით რომელიც ადასტურებს მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის სახელზე არსებული გადასახადის გადახდის ფაქტს, კომუნალური გადასახადის გადახდის ფაქტს სადაც მითითებული იქნება გადამხდელის ვინაობა (იგულისხმება მემკვიდრე)

აღნიშნული ფაქტის დადგენა შესაძლებელია ორდერით სადაც ჩაწერილი პირები არიან როგორც მემკვიდრე ისე მამკვიდრებელი.

თუ მემკვიდრე და მამკვიდრებელი რეგისტრირებული არიან სხვადასხვა მისამართზე, მაგრამ ერთერთი მათგანი რეგისტრირებულია მეორის საკუთრებაში რიცხულ ბინაში, სახეზეა სამკვიდროს ფლობის ფაქტი. მაგ. გარდაიცვალა მამა, რომელიც რეგისტრირებული იყო გარდაბანში, ხოლო მის სახელზე ირიცხება ბინა ქ. თბილისში, რომელშიც რეგისტრირებულია მისი შვილი - მემკვიდრე. იგულისხმება რომ მემკვიდრემ სამკვიდრო ქონება მიიღო ფაქტობრივი ფლობით. ან პირიქით გარდაცვლილი რეგისტრირებული იყო შვილის - მემკვიდრის საკუთრებაში რიცხულ ბინაში, ხოლო თვით მემკვიდრე რეგისტრირებული იყო სხვა მისამართზე. ვინაიდან გარდაცვლილი რეგისტრირებული იყო მემკვიდრის საცხ. სახლში, იგულისხმება, რომ მან მიიღო მამკვიდრებლის კუთვნილი ნივთები, რომლებიც ინახება მის სამყოფელში.

თუ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის მემკვიდრე არასრულწლოვანი იყო, (სკ 20 მუხლის თანახმად) მის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლების საცხოვრებელი ადგილი, რომელიც შეიძლება იყოს გარდაცვლილის საცხოვრებელი ადგილი, შესაბამისად სახეზეა სამკვიდროს მიღების ფაქტი, თუ მშობლის

გარდაცვალების დროს ცოცხლად მყოფ მეუღლეს და გარაცვლილ მეუღლეს აღმოაჩნდება ერთი და იგივე საცხოვრებელი ადგილი.“⁵⁴

5.2 ფაქტობრივი ფლობის დადგენა სასამართლოს გზით, სასამართლო პრაქტიკა

ნოტარიუსის მიერ სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, მაშინ, როდესაც ნოტარიუსისათვის რთულია მემკვიდრეთა მიერ წარდგენილი დოკუმენტებისა თუ გარემოებების საფუძველზე ნივთზე ბატონობის დამტკიცება, მემკვიდრეებს სამკვიდროს მისაღებად, ფაქტობრივი ფლობის დასადგენად რჩებათ ერთი გზა, ისინი იძულებულნი არიან მიმართონ სასამართლოს. სასამართლო კი თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე ადგენს ან უარყოფს სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტს.

სააპელაციო პალატა განმარტავს: „რომ სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა. ამ გარიგებით გამოვლენილი ნება ჩაითვლება ნამდვილად, თუ მემკვიდრე მიმართავს კანონით გათვალისწინებულ მოქმედებებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. სამკვიდროს ფლობაში ან მართვაში იგულისხმება მემკვიდრის მიერ ისეთი მოქმედებების განხორციელება, რომლებიც მიუთითებენ სამკვიდროს მიღების სურვილზე, რომლითაც ვლინდება მისი ნება, გახდეს სამკვიდრო ქონების მესაკუთრე. კონკლუდენტური მოქმედებები უნდა მიუთითებდნენ იმაზე, რომ მემკვიდრემ ფაქტობრივად უკვე დაიწყო თავისი უფლების რეალიზაცია. ამ შემთხვევაში უნდა განვასხვავოთ სამკვიდროს ფლობა და მართვა ერთმანეთისაგან.“

⁵⁴ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ კომენტარები. *მუხლი 85, ნოტარიუსი ნ. სიდამონიძე.*

სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ფაქტობრივი ფლობის (მამკვიდრებლის სახლში ცხოვრების) ფაქტს. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტი, რომელიც უნდა არსებობდეს სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის მანძილზე და, რომლითაც დასტურდება მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ნება, საკმარისია, რომ სამკვიდრო ჩაითვალოს მიღებულად.

პალატა მიიჩნევს, რომ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებისათვის აუცილებელი არ არის მუდმივად სამკვიდროში შემავალი ქონების პეროპა ან ფაქტობრივი ფლობა, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გარკვევა, თუ მემკვიდრეები რამდენად თავისად მიიჩნევდნენ დანაშთ ქონებას და რა ფაქტობრივი დამოკიდებულება ჰქონდათ აღნიშნული ქონების მიმართ.

სამოქალაქო კოდექსის 1422-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. პალატა აღნიშნული ნორმების სისტემური და შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ სამკვიდროს მიღება, თავის მხრივ, ცალმხრივი სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებაა. გარიგება, თავისი სამართლებრივი ბუნებით, არ გულისხმობს მხოლოდდამხოლოდ პირის ნების ობიექტურად არსებობას გარკვეული სამართალურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ აუცილებელია, რომ აღნიშნული ნება გამოვლენილ იქნეს. გარკვეულ შემთხვევებში, ნების გამოვლენის ავტონომია კანონისმიერ ჩარჩოებშია მოქცეული. მოცემულ შემთხვევაში, კანონი განამტკიცებს პირის უფლებას მიიღოს ან არ მიიღოს სამკვიდრო, თუმცა, აწესებს აღნიშნული ნების გამოვლენის ვადას. სამკვიდროს მიღების ნების არსებობის შემთხვევაში, ნება გამოვლენილ უნდა იქნეს სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში. პალატა განმარტავს, რომ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღება გულისხმობს იმას, რომ მემკვიდრემ აქტიური ქმედებით გამოხატა სამკვიდროს მიღების ნება. უფრო მეტიც, აღნიშნული ნების გამოხატვის მიზნებისათვის კანონი საკმარის საფუძველად მიიჩნევს სამკვიდროს ნაწილის დაუფლებას, სასამართლო პრაქტიკით სამკვიდროს ნაწილად მიჩნეულია სამკვიდრო მასაში შემავალი როგორც უძრავი, ასევე ნებისმიერი მოძრავი ნივთი. პალატა მიიჩნევს, რომ კანონით დადგენილი წესით სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის არარსებობის პირობებში, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა ადასტურებს მემკვიდრის

ნებას სამკვიდროს მიღებაზე. პალატა სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების მიზნებისათვის მნიშვნელობას ანიჭებს ასევე მემკვიდრეთა სუბიექტურ დამოკიდებულებას სამკვიდრო მასაში არსებული ქონების მიმართ.⁵⁵

„ სააპელაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სამკვიდრო ქონების პერიოდულ სარგებლობაზე. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ცნების განმარტების მიზნებისათვის, აღნიშნავს, რომ ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღება გულისხმობს აღნიშნულ სამკვიდროში შემავალი ქონების ან მისი ნაწილის პერიოდულად ფლობას, გამოყენებას, მითუმეტეს, როდესაც სამკვიდრო მასაში შესული ქონება მემკვიდრისათვის არამუდმივი საცხოვრებელი ადგილია. მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობისთვის სხვა სტანდარტი მოქმედებს, მაშინ როდესაც სამკვიდროში არ შედის მემკვიდრის მუდმივ ადგილსამყოფელზე, ფაქტობრივ მისამართზე მდებარე უძრავი ქონება. ასეთ შემთხვევაში, ფაქტობრივი ფლობისთვის აუცილებელია სამკვიდრო ქონების არა მუდმივად ფაქტობრივი ბატონობა, პყრობა, შემხებლობა, არამედ მისგან გარკვეული სარგებლის მიღება. პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამკვიდრო ქონებიდან ჭურჭლის, წიგნის, დანა-ჩანგლის აღება თი სამკვიდროს მიღებას გულისხმობს, რატომ არ უნდა ნიშნავდეს სამკვიდროს მიღებას უძრავი ქონებით პერიოდულად სარგებლობა, მაშინ როდესაც მემკვიდრეებს მუდმივი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი სხვა ქალაქში აქვთ, ხოლო სამკვიდრო მასაში არსებული ქონება მათთვის აგარაკის, დასასვენებელი ადგილის ფუნქციას ასრულებს.“⁵⁶

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით: „ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის თანახმად, სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო

⁵⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება . საქმე №2ბ/2678-12, 9 ნოემბერი, 2012 წელი .

⁵⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე #2ბ/4488-10, 3 მაისი 2011 წელი.

ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო, ხოლო ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი. ამავე კოდექსის 1424-ე მუხლით, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

ამდენად მითითებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილი) სამკვიდროს მიღებას უკავშირებს ასევე სამკვიდროს ფლობას და მართვას, რაც უნდა მოხდეს სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის განმავლობაში. ამასთან, ფლობა და მართვა უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ მემკვიდრემ ამით განახორციელა მესაკუთრის ბატონობა და, აქედან გამომდინარე, იკისრა მესაკუთრის ყველა უფლება და ვალდებულება.

სასამართლოს განმარტებით აღნიშნული ნორმები სამკვიდროს მიღებას უკავშირებს მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის განმავლობაში მემკვიდრის მიერ სამკვიდროს დაუფლების სურვილს, რისი ერთ-ერთი გამოხატულებაცაა დანაშთი ქონების ფაქტობრივად მიღება და მართვა.

ამდენად, სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების დროს განმსაზღვრელია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ელემენტები: სამკვიდროს მართვა-დაუფლებისკენ მიმართული ნება და ამგვარი ნების მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვეში გამოვლენა.

პალატა განმარტავს, რომ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა შეიძლება განხორციელდეს სახვასდასხვა გზით, კერძოდ: სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა შეიძლება გამოიხატოს სამკვიდრო უძრავი ქონებით სარგებლობაში, ამ ქონებაში ცხოვრების ფაქტით, მისი მოვლა-პატრონობით, გაქირავებით, სამკვიდროში არსებული მოძრავი ნივთების დაუფლებითა და სარგებლობით.⁵⁷

⁵⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება. საქმე №22ბ/4097-12, 14 თებერვალი, 2013 წელი.

სასამართლოს განმარტებით: „სამკვიდროს გახსნის შედეგად მემკვიდრეობის მიღებისათვის მხოლოდ მემკვიდრეობის უფლების ქონა საკმარისი არ არის, ანუ მხოლოდ უფლების არსებობა არ წარმოშობს იურიდიულ შედეგს. აღნიშნული უფლების სარეალიზაციოდ აუცილებელია კონკრეტული მოქმედების განხორციელება - მემკვიდრეობის მიღება. მემკვიდრეობის სამართალი სამკვიდროს მიღების ორ ფორმას იცნობს - მემკვიდრეობის მიღებას უფლებამოსილ თანამდებობის პირთან ნების გამოხატვითა და ფაქტობრივი დაუფლებითა და მართვით. უფლებამოსილ თანამდებობის პირთან ნების გამოხატვა შეზღუდულია დროით. ამ მოქმედების განხორციელების შედეგად მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრემ სამკვიდრო უკვე შეიძინა და იგი არის მისი მესაკუთრე.

მითითებულ დანაწესში კანონმდებელი უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებს მემკვიდრის ნების დადგენას - სურს თუ არა მას სამკვიდროს მიღება. თავისი სამართლებრივი ბუნებით სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა. იგი ისეთი იურიდიული მოქმედებაა, რომელიც გამოხატავს სამკვიდროს მიღების სურვილს, მემკვიდრის ნებას.

ამასთან, სასამართლო მიიჩნევს, რომ ისეთ მოქმედებად, რომელიც ცხადყოფს სამკვიდროს მიღების ფაქტს, შეიძლება მიჩნეულ იქნეს ასევე სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს წინაშე სამკვიდრო მასაზე პრეტენზიის განცხადება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული. კანონმდებელი საპატიოობის კრიტერიუმებს არ აკონკრეტებს, აღნიშნული ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარეობს, თუმცა სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოობის ორი მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა განისაზღვროს: 1. თუ მემკვიდრემ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე; 2. თუ მემკვიდრემ ვადა რაიმე საპატიო საფუძველით გაუშვა.

დასახელებული ნორმების დანაწესით, მემკვიდრის უფლება სამკვიდრო ქონებაზე შეზღუდულია ნების გამოხატვის ფორმითა და წესით. აღნიშნული შეზღუდვა განპირობებს სხვა მემკვიდრეთა ინტერესის დაცვას, გონივრულ ვადაში უზრუნველყონ სამკვიდროდან კუთვნილი უფლების დადგენა და რეალიზაცია. თუმცა, ყველა მემკვიდრის ინტერესის თანაბარზომიერი დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე შეზღუდვა არ არის აბსოლუტური ხასიათის და კანონი უშვებს სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენას სასამართლოს მიერ იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების მიზეზი საპატიოდ იქნება ცნობილი. საპატიოობის კრიტერიუმი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასების საგანია და მასთან დაკავშირებული დასკვნა უნდა იყოს მოტივირებული თითოეული მემკვიდრის მართლზომიერი ინტერესის დაცვის აუცილებლობით, ვადის გაშვების სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამოკვლევითა და იმგვარი მოსაზრებით, რომ ვადის გაშვება განპირობებულია არა სამკვიდროს მიღების ნების არარსებობით, არამედ ასეთი ნების სათანადო წესით გამოხატვის შეუძლებლობით. კონკრეტული ფორმით ნების გამოხატვის შეუძლებლობა შეიძლება, განპირობებულ იქნეს როგორც ობიექტური ფაქტორებით, ასევე პირის სუბიექტური დამოკიდებულებით სამკვიდრო ქონებისადმი, თუ სამკვიდრო მასის მახასიათებლებისადმი.⁵⁸

საკასაციო სასამართლო განმარტავს რომ :

„ სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ, ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდრო ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. ამდენად, სამკვიდროს მიღება ორი გზით, - სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანისა და სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით შეიძლება განხორციელდეს. ორივე ხერხით სამკვიდროს მიღება ერთისა და იმავე შედეგის წარმომქმნელია და იურიდიულად რომელიმე მათგანს პრიორიტეტული მნიშვნელობა არ ენიჭება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სანოტარო ორგანოში მიმართვას ადასტურებს წერილობითი განცხადება, რაც შეეხება

⁵⁸ თბილისის სააკველიციო სასამართლოს განჩინება. *საქმე №28/3489-11, 30 იანვარი, 2011.*

სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობას, იგი მემკვიდრის სხვადასხვა მოქმედებით შეიძლება დადგინდეს, თუმცა ნებისმიერი ამ მოქმედებიდან აშკარად უნდა იკვეთებოდეს, მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების სურვილი, მემკვიდრის ნება, (სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა, რომლისთვისაც, ჩვეულებრივ, აუცილებელია ნების ნამდვილობა). მემკვიდრის ყველა ამგვარი მოქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობა (მაგალითად: მამკვიდრებლის საცხოვრებელ სახლში ცხოვრება, მამკვიდრებლის ნივთების, როგორც საკუთარის მიღება და განკარგვა, სამკვიდროს ფაქტობრივი მართვა, მოვლა და სხვ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირის საცხოვრებელ ბინაში რეგისტრაციის ფაქტი ადასტურებს მემკვიდრის მიერ, სამკვიდროს ფაქტობრივ ფლობას. მართლისა სათანადო ნორმატიული აქტი ავალდებულებს პირს საცხოვრებელი მისამართის მიხედვით რეგისტრაციას, მაგრამ კონკრეტულ მისამართზე პირის რეგისტრაცია თავისთავად არ გულისხმობს ამ მისამართზე პირის ცხოვრების ფაქტს. ამ დასკვნას ამყარებს სამოქალაქო კოდექსის 20-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის ძალითაც ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ის ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად აირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. მითითებული ნორმის დანაწესიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონმდებელი არ გამორიცხავს პირის საცხოვრებელი და რეგისტრაციის ადგილების არაიდენტურობას.⁵⁹

ზემოაღნიშნული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე უნდა ითქვას რომ ყველა ცალკეული საქმე, რომელსაც სასამართლო იხილავს არის ინდივიდუალური, განსხვავდება სხვა საქმეებიგან და შესაბამისად საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას. მაშინ როდესაც სასამართლო უფლებამოსილია სამემკვიდრეო სამართალწარმოების დროს, კერძოდ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის დადგენის ეტაპზე გამოიკვლიოს, მოიძიოს დოკუმენტები, მიიღოს მოწმეთა მხრიდან ახსნა-განმარტებები, ნოტარიუსს აღნიშნული ქმედებების განხორციელების უფლება შეზღუდული აქვს, შესაბამისად იგი ამ შემთხვევაში მოქმედებს კანონის ფარგლებში და გასცემს უარს სამკვიდრო მოწმობაზე, მემკვიდრეებს კი თავიანთი მოთხოვნის და

⁵⁹ თბილისის საკასაციო სასამართლოს განჩინება. საქმე # ას-595-822-08, 4 ნომბერი 2008 წელი.

სურვილის დასაკმაყოფილებლად რჩებათ მხოლოდ ერთი გზა და იძულებულნი არიან მიმართონ სასამართლოს, რაც იწვევს არა მხოლოდ დროში გაჭიანურებას, არამედ სასამართოების გადატვირთვასაც.

დასკვნა

მოცემულ ნაშრომში განხილული საკითხები ვფიქრობ მიუთითებენ კვლევის აუცილებლობასა და პრობლემის აქტუალობაზე. როგორც მსჯელობაში ჩანს მთელი რიგი გართულებები მაშინ იჩენს თავს, როცა მემკვიდრე სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადებით არ მიმართავს ნოტარიუსს სამკვიდროს გახსნიდან კანონმდებლობით დადგენილ ექვსი თვის ვადაში და სამკვიდროს მიიღებს ფაქტობრივი მფლობელობით, პრობლემა კი იმაში მდგომარეობს როცა იგი ვერ ამტკიცებს ფაქტობრივი მფლობელობის ფაქტს ნოტარიუსის მეშვეობით და იძულებულია მიმართოს სასამართლოს. სასამართლოსათვის მიმართვა კი მოგეხსენებათ დაკავშირებულია როგორც ზედმეტ ხარჯებთან, ასევე დროსთან რაც მემკვიდრესთვის ცალკე პრობლემას წარმოადგენს.

ხსენებული პრობლემის მოგვარების ჩემეული გზა შემდეგია :

უპირველეს ყოვლისა ვფიქრობ სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებისათვის აუცილებელია შემუშავებულ იქნეს შესაბამისი ღონისძიებები რომ საზოგადოება იყოს მეტად ინფორმირებული რათა მოახდინონ სამკვიდროს მიღება კანონით დადგენილ ვადებში, საჭიროა მოსახლეობას ესმოდეს მაინც იმ შედეგების შესახებ რაც ვადების გაშვებას მოსდევს. ყველა განვითარებულ ქვეყანაში თითოეულ ოჯახი იღებს შესაბამის ინფორმაციას თავიანთი იურისტის საშუალებით, რომლებთანაც გადიან კონსულტაციებს და თავიდან ირიდებენ გარკვეულ სამართლებრივ პრობლემებს, აღნიშნული კი მოგეხსენებათ დაკავშირებულია ფინანსებთან და მიუთითებს ქვეყნის მაღალ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამიტომ შეიძლება ითქვას რომ ქვეყნის განვითარების დონეს და ეკონომიკურ მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გამომდინარე აქედან, სამართლებრივი განათლების ამაღლების თვალსაზრისით საჭიროა სასკოლო ეტაპზე შემოღებულ იქნას საგანი რომელიც ადრეული ასაკიდან შეუწყობს ხელს მოქალაქეთა ინფორმირებას.

ამასთან, როგორც ნაშრომში გავამახვილეთ ყურადღება, პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ნოტარიუსისათვის მოწმეთა ახსნა-განმარტების ფუნქციების მინიჭება. იმ შემთხვევაში თუ ნოტარიუსებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია ფაქტობრივ ფლობასთან დაკავშირებულ

მოწმეების საშუალებით პრობლემა შედარებით მარტივად მოგვარებადია, და ფაქტობრივი ფლობის ფაქტიც ადვილი დასადგენია, თუმცა ამ დროს შესაძლოა მოწმეთა მხრიდან მოხდეს ინფორმაციის დამალვა მაგრამ ეს შემთხვევაც უნდა იქნეს გათვალისწინებული საკანონმდებლო დონეზე და ასეთ დროს როგორც სასამართლოში, ისე ნოტარიუსთან უნდა იქნეს განმარტებული რომ მოწმეებს ინფორმაციის დამალვისათვის დაეკისრებათ სამართლებრივი პასუხისმგებლობა. გამომდინარე აქედან, ნოტარიუსისათვის ხსენებული ფუნქციის მინიჭება ხელს შეუწყობს სასამართლოების უზღვავი საქმეებისგან შედარებით განტვირთვას, და ხელს შეუწყობს სამკვიდრო მიღების გამარტივებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობ აუცილებელია მიღებულ იქნეს კოდექსში ცვლილებელი სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის საკითხთან დაკავშირებით, იმისათვის რომ : გამარტივდეს მემკვიდრეთათვის სამკვიდრო ქონების მიღების პროცედურები, ნოტარიუსებს სამემკვიდრეო საქმეების განხილვის ეტაპზე ჰქონდეთ თავისუფლად მოქმედების ფართო არეალი, მოხდეს სასამართლო დავების შედარებით განტვირთვა. **საჭიროა საკანონმდებლო დონეზე ფაქტობრივი ფლობის ფაქტის დადასტურების რეგულირება ისე განხორციელდეს, რომ ნოტარიუსებისთვის ნათელი და გასაგები იყოს სამკვიდრო მოწმობის გაცემა და მათთვის კითხვის ნიშნებს არ ბადებდეს ფაქტობრივ ფლობასთან დაკავშირებული საკითხები.**

ვიმედოვნებ აღნიშნული ნაშრომით წვლილს შევიტან ფაქტობრივი ფლობიდან წარმოშობილი პრობლემის გადაჭრაში.

გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
3. რ.შენგელია მემკვიდრეობის სამართალი (თეორია და პრაქტიკა). თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი" 2011წ.
4. ივ.ჯავახიშვილი ქართული სამართლის ისტორია, წიგნი2. ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1929წ.
5. ლ.ჭანტურია სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი : გამომცემლობა "სამართალი" 2011წ.
6. ჭანტურია (რედ), თოთლაძე (ავტ). სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, 2018წ.
7. შ.ჩიკვაშვილი საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი" 1999წ.
8. შ.ჩიკვაშვილი მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი: გამომცემლობა "მერიდიანი" 2000
9. ბ.ზოიძე ქართული სანივთო სამართალი 2003წ.
10. ბ.ზოიძე სამოქალაქო კოდექსის კომენტარები წიგნი2, 1999წ.
11. ბ.ზოიძე ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. თბილისი 2000წ.
12. ა.ფირცხალაშვილი საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები ავტორთა კოლექტივი. თბილისი: გამომცემლობა შპს "პეტიტი" 2013წ.
13. დ.კერესელიძე უზოგადესი ცნებები. თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა 2009წ.
14. სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქცია. საქართველოს მინისტრის ბრძანება #71. (31.03.2010).
15. სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ კომენტარები. მუხლი 85, ნოტარიუსი ნ.სიღამონიძე.
16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება. საქმე №2ბ/2678-12, 9 ნოემბერი, 2012 წელი .
17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმე #2ბ/4488-10, 3მაისი 2011წელი.

18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება. საქმე №28/4097-12, 14 თებერვალი, 2013 წელი.
19. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება. საქმე №28/3489-11, 30 იანვარი, 2011.
20. თბილისის საკასაციო სასამართლოს განჩინება. საქმე # ას-595-822-08, 4 ნოემბერი 2008 წელი.

არაქართულენოვანი ლიტერატურა და ინტერნეტ წყაროები

1. Liliana Sousa, Ana Raquel Silva, Liliana Santos . (28 January 2010). *The family inheritance process: motivations and patterns.*
2. Amy Baker - Article. (2019). *USA inheritance laws.*
3. თურქეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება.
https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/turketi.pdf
4. საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება
https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf
5. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. თბილისი: გამომცემლობა "სიესტა"
მთარგმნელი ზ.ჭეჭელაშვილი. 2010წ.

- რეკომენდაცია ფაქტიური ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტების თაობაზე .
<http://notary.cloud.gov.ge/res/docs/shida/menu/rekomendatsia-31-10-2014.pdf>

- საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის დინამიკა.

<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018-weli-wigni-samogalago.pdf>

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა:

- სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- ე. ი. - ესე იგი
- სხვ. - სხვა
- ა. შ. - ასე შემდეგ